გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№44 (24.924) ხუთშაბათი, 5 - 6 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი

## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია წვიმა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

## კრიალოსანი ჯ სიახლეები

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის (ODIHR) დირექტორს მატეო მეკაჩის შეხვდა. განიხილეს საქართველოს მთავრობისა და ODIHR-ის თანამშრომლობა, მათ შორის, არჩევნებზე დაკვირვების, საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, გენდერული თანასწორობისა და კანონის უზენაესობის მიმართულებით. აღინიშნა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის მხარდაჭერისა და საქართველოს ჩართულობის მნიშვნელობა გენდერულ თემატურ პროექტებში. ყურადღება გამახვილდა ეფექტური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებზე სხვადასხვა მიმართულებით.

* * *

სომხეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი სომეხ კოლეგა არარატ მირზოიანს შეხვდა. მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსა და სომხეთის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები. მინისტრებმა დადებითად შეაფასეს ორი ქვეყნის ტრადიციულად კეთილმეზობლური კავშირები, რასაც თავის მხრივ ხელს უწყობს მაღალი დონის შეხვედრების და ვიზიტების ურთიერთგაცვლა. შეხვედრის შემდგომ მინისტრებმა პრესისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

* * *

ფინეთი ყოველთვის მხარს უჭერდა და მომავალშიც მხარს დაუჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და მის ტერიტორიულ მთლიანობას, - ამის შესახებ განაცხადა საქართველო-ფინეთის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელმა მატიას მარტინენმა სოფელ ოძისში საოკუპაციო ხაზის მონახულების შემდეგ. „ჩვენ ასევე გავაძლიერებთ ორმხრივ ურთიერთობებს და მივესალმებით საქართველოს მისწრაფებებს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე და ჩვენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას“, - აღინიშნა მან.

* * *

„სტრატეგია აღმაშენებელმა“ აშშ-ში სენატორ შაჰინის ოფისის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. „იმისთვის, რომ დავუახლოვდეთ ამერიკას, აუცილებლად საქართველომ უნდა გააგრძელოს საკონსტიტუციო და სასამართლო რეფორმა, რომელიც 19 აპრილის შეთანხმებაშია წარმოდგენილი. რაც შეეხება მეორე საკითხს - საქართველოს ახლა სჭირდება როგორც თავდაცვისუნარიანობის, ასევე ეკონომიკური კუთხით დახმარება. ჩვენ კვლავ დავაყენეთ საკითხი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით, ასევე, მეტი მხარდაჭერა როგორც უკრაინას, ისე საქართველოსაც, მაგრამ ამისთვის, რა თქმა უნდა, მთავრობის აქტიურობაა საჭირო“, - განაცხადა პარტიის ლიდერმა გიორგი ვაშაძემ.

**მოამზადა ია შველიძემ**

# „ვიზიტი ხელს შეუწყობს როგორც პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ასევე ახალი ეკონომიკური ინიციატივების შემუშავებას“

ბათუმმა საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმს უმასპინძლა... ფორუმში, რომლის მიზანი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების, ბიზნესის კავშირების გაღრმავება, საქართველოში პარტნიორების მოძიებაა, 200-მდე ქართული და ჩეხური კომპანია მონაწილეობდა მშენებლობისა

და დეველოპმენტის, მცირე ზომის ჰესების მშენებლობის, ტურიზმის, სამედიცინო ტექნოლოგიებისა და სხვა სფეროებიდან. საინვესტიციო ფორუმს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის თავმჯდომარე მილოშ ვისტრჩილი დაესწრო.

ბათუმის ფორუმზე აჭარის საინვესტიციო და ტურისტულ შესაძლებლობებზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს, ყურადღება რეგიონის ეკონომიკის ძირითად პარამეტრებზე გაამახვილეს.

ფორუმი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ გახსნა. მან მადლობა გადაუხადა ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის თავმჯდომარე მილოშ ვისტრჩილს და დელეგაციის წევრებს ვიზიტისა და თანამშრომლობისთვის.

„დღევანდელი დღე საქართველოსა და ჩეხეთს შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის დასტურია. მინდა გამოვხატო ჩვენი მადლიერება ჩეხეთის მიმართ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ევროატლანტიკური მისწრაფებების გზაზე მათი ურყევი მხარდაჭერისთვის.

საქართველომ რამდენიმე დღის წინ უკვე ოფიციალურად მიმართა ევროკავშირს წევრობის სტატუსთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, ჩეხეთი იქნება ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის მხარდამჭერი ამ ძალიან მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესში. ეს არის როგორც ჩვენი ხელისუფლების, მთავრობის, ასევე ჩვენი ხალხის და ჩვენი წინაპრების ისტორიული არჩევანი.

საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმი ბათუმში უკვე მეორედ იმართება, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. ბათუმს საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა როგორც ვიზიტიორების მასპინძლობის, ასევე საერთაშორისო პროექტების განხორციელების კუთხით. დღევანდელი მაღალი რანგის წარმომადგენლობითი ვიზიტი ხელს შეუწყობს როგორც პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ასევე, ახალი ეკონომიკური ინიციატივების შემუშავებას...

იხ. მე-2 გვ.


## როგორ ისჯებიან რუსეთში ობიექტური ჟურნალისტები 3

## ვუთხრათ ბულინგს - არა 4

## ერთი მასწავლებლის ფრაზის საპასუხოდ 5

## სპორტის სასახლის საძირკველში დუღაბი ჩაასხეს 6



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

***ბათუმში კავკასიის უნივერსიტეტის და ქართულ-ამერიკული აკადემია „პროგრესის“ მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. უნივერსიტეტისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მშენებლობაში 20 მილიონი ლარის ინვესტიცია ხორციელდება.*** აჭარის მთავრობამ ყოველწლიურად, საბაკალავრო პროგრამებზე განსაზღვრა 10 ახალი ადგილი ადგილობრივი სტუდენტების უფასო განათლების მისაღებად, რასაც კავკასიის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს. იფუნქციონირებს საერთაშორისო სასწავლო კურსები. საუნივერსიტეტო კამპუსი აღჭურვილი იქნება თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სპორტული მოედნებით, საცურაო აუზით.

ქართულ-ამერიკული აკადემიის მშენებლობაში 10 მლნ ლარის ინვესტიცია ჩაიდო. აკადემია სკოლამდელი, საშუალო განათლებისა და წინასაუნივერსიტეტო პროგრამებს განახორციელებს, ასევე ექნება ამერიკული საატესტატო-სადიპლომო უმაღლესი სკოლა. პროექტს სკოლა „პროგრესი“ კომპანია „ანაგთან“ ერთად ახორციელებს.

კავკასიის უნივერსიტეტის და ქართულ-ამერიკული აკადემიის მშენებლობის მიმდინარეობას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან მაია ხაჯიშვილთან ერთად გაეცნო.

**ანკა ჩხიკვაძე**

# სათავე ნაგებობა მოაწესრიგეს

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***დაბა ხულო სასმელი წყლით ბაბანურის მთიდან მომარაგდება. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც წყლის დებეტი მუდმივად არსებობს.***



სათავე ნაგებობა, გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალ და მისასვლელად რთულ ადგილზეა.

წლევანდელი ხანგრძლივი და უხვნალექიანი ზამთრის შედეგად, სათავე ნაგებობა დაიმეწყრა, სასმელი წყალი ძალიან დაბინძურდა, რასაც მოსახლეობის სამართლიანი წუხილი და საყვედურები მოჰყვა.

ხულოს „წყალკანალის“ ხელმძღვანელთან და თანამშრომლებთან ერთად, პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ სათავე ნაგებობა დაათვალიერა... იქ საკმაოდ რთული სიტუაცია დახვდათ. მეწყერს თითქმის მთლიანად დაეფარა ნაგებობა. დაიწყო გაწმენდითი სამუშაოები.

თოვლის საფარის სიმაღლიდან გამომდინარე, ტრანსპორტი ნახევარ გზამდეც ვერ აღწევს, წყლის მილები ადგილზე ხელით მიაქვთ. სამუშაოები გაგრძელდება ნაგებობის სრულ გაწმენდამდე, თუმცა არ არის გამორიცხული, ინტენსიური წვიმის დროს მეწყრული პროცესი ისევ განვითარდეს.

თოვლის დადნობის შემდეგ, სათავე ნაგებობის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები დაიწყება.

# „ვიზიტი ხელს შეუწყობს როგორც პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ასევე ახალი ეკონომიკური ინიციატივების შემუშავებას“

**პირველი გვერდიდან**

ჩეხეთი საქართველოს პარტნიორია უკვე ბევრი წელია. ამ პარტნიორობის საფუძველზე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. ძალიან მახარებს, რომ ჩეხური ინტერესები და ბიზნესები ოპერირებენ ჩვენს რეგიონში. დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი პლატფორმა მისცემს შესაძლებლობას კერძო სექტორს, ბიზნესის წარმომადგენლებს, განიხილონ როგორც თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები, ასევე არსებული თანამშრომლობის გაღრმავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება „ასოცირებული ტრიოსთვის“, რომელიც მოიცავს 3 ქვეყანას: მოლდოვას, უკრაინას და საქართველოს, ჩეხეთის მხარდაჭერა. ამ სამმა ქვეყანამ, როგორც მოგეხსენებათ, პრაქტიკულად ერთდროულად წარადგინა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. შესაბამისად, ამ მხარდაჭერის იმედით, ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ იმ რეფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, ასევე, ეკონომიკურ განვითარებას და კეთილდღეობას ჩვენი მოქალაქეებისთვის.

აჭარის მთავრობისთვის მოცემულ პერიოდში განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენს ეკონომიკის სწრაფი აღდგენა, ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის აღდგენა“, - განაცხადა რიჟვაძემ.

ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის თავმჯდომარე მილოშ ვისტრჩილის თქმით, ჩეხეთისთვის საქართველო არის ძალიან პერსპექტიული სახელმწიფო ბიზნესის განვითარების კუთხით. საქართველოს ბაზარზე ჩეხური ინვესტიციები რიგით მესამეა თავისი მასშტაბით, ორი ქვეყნის საერთო ამოცანა კი დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვაა. მისივე თქმით, საქართველო მალე გახდება ევროკავშირის წევრი და ჩეხეთისთვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს და დაუჭიროს მხარი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს.

ბიზნესფორუმზე რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობებზე სპეციალური პრეზენტაცია აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ გამართა, ისაუბრა მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე.

ფორუმის გახსნამდე ჩეხეთის დელეგაციის წევრებთან ოფიციალური შეხვედრები გამართეს აჭარის უმაღლესი საბჭოს და მთავრობის თავმჯდომარეებმა დავით გაბაიძემ და თორნიკე რიჟვაძემ, მთავრობის წევრებმა.

ფორუმის შემდეგ ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის თავმჯდომარე მილოშ ვისტრჩილი და დელეგაციის წევრები ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს ესტუმრნენ, სადაც საქართველოში ჩეხეთის საელჩოს მიერ განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით, რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს 170 000 ევროს ღირებულების აპარატურა გადაეცა.

„ჩეხეთის რესპუბლიკის დელეგაციას საელჩოს მიერ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოსთვის გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ. ეს არის პერინატალური და ნეონატალური სერვისების აღჭურვილობა, რომელიც კლინიკას დაეხმარება აღნიშნული სერვისების ნებართვების მიღებასა და მოსახლეობისათვის სრულყოფილი სერვისის მიწოდებაში“, - აღნიშნა აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოსა და ჩეხეთის საელჩოს შორის თანამშრომლობა გრძელდება, დაგეგმილია სამედიცინო პერსონალის ჩეხეთში გადამზადება და ჩეხი მედიკოსების აჭარაში ვიზიტი.

**ელენე საყვარელიძე**

# „საქსტატის“ ინფორმაციით

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობა 3 688 600 ადამიანს შეადგენს, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტით ნაკლებია.

„საქსტატის“ ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-13 960) და უარყოფითი მიგრაციული სალდო (-25 966).

„2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 59.7 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის, თითქმის, მესამედს შეადგენს. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.8 პროცენტს შეადგენს, შრომისუნარიან ასაკში

მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) - 63.7 პროცენტს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი - 15.5 პროცენტს.

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კაცების რიცხოვნობამ 1 770.0 ათასი შეადგინა, ხოლო ქალების რიცხოვნობამ - 1 918.7 ათასი. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი - კაცი, ხოლო 52 პროცენტი ქალია. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 92-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92 კაცი მოდის. აღსანიშნავია, რომ 30 წლამდე ასაკში კაცების რიცხოვნობა აღემატება ქალების რიცხოვნობას, ხოლო 30 წლის ასაკიდან სახეზე გვაქვს საპირისპირო სურათი, რაც გამოწვეულია კაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით. წინა წელთან შედარებით, 2021 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2.0 ერთეულით შემცირდა და 71.4 წელი შეადგინა, მათ შორის კაცებისათვის - 67.5 წელი, ხოლო ქალებისათვის - 75.4 წელი. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი შეადგენს 38 წელს.

2021 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 99 974 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 34.6 პროცენტით მეტია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 17.8 პროცენტით შემცირდა და 74 008 კაცი შეადგინა. ამავე პერიოდში, იმიგრანტების 82.5 პროცენტი და ემიგრანტების 88.6 პროცენტი, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენენ. 2021 წელს, იმიგრანტების 53.4 პროცენტს, ხოლო ემიგრანტების 80.4 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

მოამზადა
**ნაირა ფუტკარაძემ**

# რუსეთის ნამოქმედარის დაგმობას გაეროს გენერალური მდივნისგან 25 საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია მოითხოვს

რუსეთის ხელისუფლება მისი ლიდერის მეთაურობით სულ უფრო მეტად იყენებს აგრესიულ მეთოდებს საკუთარი რეჟიმის დასაცავად, რომლის განწირულობაზე ბევრი რამ მეტყველებს. ამის დასტურია ის, რომ მსოფლიოში სულ უფრო მეტი ადამიანი და ორგანიზაცია ირაზმება მისი პოლიტიკის და არაჰუმანურობის წინააღმდეგ. ამის დასტურია ისიც, რომ 25 საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციისგან შემდგარი კოალიცია გაეროს გენერალურ მდივან ანტონიუ გუტერეშს რუსეთის ხელისუფლების მიერ კრემლის ხმამაღალი კრიტიკოსის, ჟურნალისტის და ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ვლადიმირ კარა-მურზას დაპატიმრების გაპროტესტებას სთხოვს.

ერთობლივ განცხადებაში, რომელიც 2 მაისითაა დათარიღებული, უფლებადამცველი ორგანიზაციები ადამიანის უფლებების სფეროში გაეროს უმაღლეს კომისარ მიშელ ბაჩელეტს, გაეროს ყველა სხვა შესაბამის უწყებასთან ერთად, მოუწოდებენ არა მარტო დაგმონ კარა-მურზას დაპატიმრება, არამედ მისი დაუყოვნებელი გათავისუფლებაც მოითხოვონ - ისევე, როგორც ყველა სხვა სინდისის პატიმრის, რომლებიც დაეპატიმრეს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყების ფონზე გაკეთებული განცხადებების შემდეგ.

კარა-მურზა თავისი სახლის წინ 11 აპრილს დააპატიმრეს და მეორე დღეს, პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით, 15 დღით მიუსაჯეს პატიმრობა. 22 აპრილს მოსკოვის ერთ-ერთმა სასამართლომ განაცხადა, რომ კარა-მურზა პატიმრობაში უნდა დარჩეს ახალი ბრალდების გამო, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის არმიაზე ცრუ ინფორმაციის გავრცელებას - მას მერე, რაც კარა-მურზამ ინტერვიუში გააკრიტიკა რუსეთის არაპროვოცირებული შეჭრა უკრაინაში.

„ეს ბრალდებები შეთითხნილია და მიზნად ისახავს მხოლოდ დაუმორჩილებლობის ჩახშობას რუსეთში. ისინი ასახავს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის შიშს სიმართლის გამო“, - აცხადებს კოალიცია, რომლის წევრთა შორის არიან United Nations Watch-i da the Human Rights Foundation-ი.

2015 და 2017 წლებში კარა-მურზა საავადმყოფოში მოხვდა კრიტიკულ მდგომარეობაში, მძიმე მოწამვლის სიმპტომებით. საფრანგეთში ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადგინა მძიმე მეტალების ნორმაზე გაცილებით მეტი კონცენტრაცია პოლიტიკოსის ორგანიზმში. კარა-მურზა მიმართავდა საგამოძიებო კომიტეტს, მაგრამ თავდასხმის საქმის აღძვრაზე მას უარს ეუბნებოდნენ.

თავად კარა-მურზა მიიჩნევს, რომ მისი მოკვლა რუსეთის ხელისუფლების ბრძანებით სურდათ. ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობდა, რომ „მიზანმიმართული მოწამვლის“ მიზეზი იყო მისი მრავალწლიანი მუშაობა პერსონალური სანქციების დაწესების საქმეზე ვლადიმირ პუტინის ახლო მოკავშირეებისთვის. კარა-მურზა იყო ერთ-ერთი რუსი პოლიტიკოსი, რომელიც ლობირებდა „მაგნიტსკის კანონის“ მიღებას აშშ-ში, ის ასევე აშუქებდა ბორის ნემცოვის მკვლელობას და რეპრესიებს რუსეთში.

წელს, მარტში, მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, კარა-მურზამ, სხვა ოპოზიციონერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, შექმნა ომის საწინააღმდეგო კომიტეტი, რომლის წევრებმაც მსოფლიო თანამეგობრობას მოუწოდეს, ომის დამნაშავეებად გამოაცხადონ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელმაც ბრძანება გასცა საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ.

**მოამზადა**
**მარი მიდასელმა**

# როგორ ისჯებიან რუსეთში ობიექტური ჟურნალისტები

***ნევზოროვი ძებნილთა სიაშია***

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჟურნალისტი ალექსანდრე ნევზოროვი ოთხშაბათს, 4 მაისს, შეიყვანა ძებნილ პირთა მონაცემთა ბაზაში. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა სისხლის სამართლის საქმე ჟურნალისტის წინააღმდეგ მარტის ბოლოს აღძრა მუხლით - „სიყალბის გავრცელება რუსეთის არმიის შესახებ“.

გამოძიების თანახმად, ნევზოროვმა 9 მარტს „ინსტაგრამის“ გვერდზე და 19 მარტს „იუთუბის“ არხზე გამოაქვეყნა „გამიზნულად ცრუ ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ ქალაქ მარიუპოლის განუკითხავი დაბომბვის შესახებ“.

„პუბლიკაციებს თან ახლდა დაბომბვის შედეგად დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობის დაუდასტურებელი ფოტოები. ამ სურათების გავრცელების წყაროს უკრაინული მედია წარმოადგენს“, - ნათქვამია რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის განცხადებაში.

მანამდე პუბლიცისტმა უკრაინაში რუსეთის შეჭრის თაობაზე განაცხადა, რომ 80 წლის განმავლობაში პირველად, „მთელ მსოფლიოს სურს ერთადერთი რამ - პუტინის სიკვდილი“. ხოლო უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი, ნევზოროვის თქმით, მხოლოდ ერთი ადამიანს ომს წარმოადგენს და არ არის გამოწვეული ტერიტორიული დავების, რელიგიის ან მტრობის გამო.

„არაფერი ეს არ არის. არის მხოლოდ მანიაკალიზმი, კონსპიროლოგია, უგუნურება“, - აღნიშნა ნევზოროვმა.

გადაცემა „600 წამის“ ავტორს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატ ალექსანდრე ნევზოროვს წარსულში ვლადიმირ პუტინთან მრავალწლიანი ნაცნობობა აკავშირებს.

2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ნევზოროვი ვლადიმირ პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი იყო, მაგრამ ამჟამად ის აქტიურად უჭერს მხარს ყირიმის უკრაინაში დაბრუნებას და დონბასის სრულ განთავისუფლებას.

შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე ნევზოროვმა საქართველოს მხარდასაჭერი ვიდეოც ჩაწერა „იუთუბის“ საკუთარ არხზე 2019 წელს, როცა ვლადიმერ პუტინმა თბილისში საპროტესტო გამოსვლების გამო საქართველოსთან პირდაპირი ავიარეისების გაუქმების ბრძანება გამოსცა. მან მაისურზე „საქართველო“ ინგლისურად დაწერა „განდაგანის“ მელოდიის ფონზე და ასე გამოხატა სოლიდარობა ქართველი ხალხის მიმართ.

**მოამზადა**
**მარი მიდასელმა**

# უკრაინა

უკრაინის დასავლეთით მდებარე ქალაქ ლვოვში რუსეთის საჰაერო იერიშების შედეგად, მოსახლეობის ნაწილი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

ინფორმაციას ლვოვის მერი ანდრი სადოვი „ტელეგრამის“ საკუთარ არხზე ავრცელებს.

„სარაკეტო დარტყმის შედეგად ორი ელექტროქვესადგური დაზიანდა - ქალაქის ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება“, - განაცხადა სადოვიმ, უკრაინის რკინიგზა კი აცხადებს, რომ რუსმა სამხედროებმა სარკინიგზო ქვესადგურები დაბომბეს, რამაც შეფერხებები გამოიწვია. მატარებლები ლვოვის შესასვლელთან არის გაჩერებული.

„რკინიგზის ქვესადგურების დაბომბვის გამო, რამდენიმე მატარებელი შეფერხებით იმოძრავებს“, - ნათქვამია უკრაინის რკინიგზის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

- მტერი არ წყვეტს შეტევას აღმოსავლეთის ოპერაციულ ზონაში, რათა დაამყაროს სრული კონტროლი დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ტერიტორიაზე და შეინარჩუნოს სახმელეთო დერეფანი დროებით ოკუპირებულ ყირიმთან, - ნათქვამია უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოველდღიურ ანგარიშში.

„უკრაინის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად მტერმა რაკეტები ესროლა დნეპროპეტროვსკის, კიროვოგრადის, ლვოვის, ვინიცის, კიევის, ზაკარპატიის, ოდესისა და დონეცკის ოლქებში მდებარე ობიექტებს“, - აცხადებენ გენშტაბში.

მათივე ცნობით, სლობოჟანსკის მიმართულებით მოწინააღმდეგემ არტილერიისა და ნაღმმტყორცნების გამოყენებით ჭურვები ესროლა ქალაქ ხარკოვსა და სოფელ პროტოპოპივკას, განახორციელა საჰაერო დაზვერვა ხარკოვის ოლქის ბარვინკოვსკის რაიონის კუტუზივკასა და ალექსანდრივკას დასახლებებში და შეეცადა შეტევითი ოპერაციების ჩატარებას დოვგენკეს დასახლების მიმართულებით, მაგრამ უშედეგოდ.

მათივე ცნობით, დონეცკისა და ტავრიას მიმართულებით ოკუპანტები უკრაინის ჯარების ნაწილებს ბომბავდნენ.

„ლიმანის მიმართულებით მტერი მიიწევს სოფელ შანდრიგოლოვისკენ. ბრძოლა გრძელდება. მტერმა გააძლიერა ჯარისკაცების ჯგუფი და საჰაერო დაზვერვა. რუსმა ოკუპანტებმა შეუტიეს პოპასნაიას მიდამოებს, ბრძოლა გრძელდება. მარიუპოლში რუსი ოკუპანტები აგრძელებენ საჰაერო დარტყმებს და ცეცხლს უხსნიან ჩვენს პოზიციებს „აზოვსტალის“ ტერიტორიაზე“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

იხ. მე-5 გვ.

## უცხოეთი

ევროკავშირი რუსეთს სანქციების მორიგ პაკეტს უწესებს, რომელიც მოიცავს ნავთობზე ეტაპობრივი ემბარგოს წინადადებასაც, - ამის შესახებ ევროკომისიის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა. „დღეს ჩვენ წარვადგენთ სანქციების მეექვსე პაკეტს. მასში შევიყვანეთ სამხედრო მაღალჩინოსნები და სხვა პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ბუჩაში. ჩვენ ვიცით, ვინ ხართ თქვენ და პასუხსაც აგებთ, - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა. სანქციები შეეხება, ასევე, რუსეთის რიგ ფინანსურ დაწესებულებებს და პროპაგანდისტებს.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ალაბამას შტატში მდებარე იარაღის მწარმოებელ ქარხანაში სტუმრობისას განაცხადა, რომ უკრაინისთვის აღჭურვილობის მიწოდება არ შეფერხდება. მისივე თქმით, 24 თებერვლის შემდეგ აშშ-მა უკრაინას 3 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების დახმარება გაუგზავნა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც არის „პირდაპირი ინვესტიცია დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად“. ქარხანა, რომელსაც ჯო ბაიდენი ეწვია, ტანკსაწინააღმდეგო ჯაველინებს ამზადებს.

* * *

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის პოლიტიკა იმპერიალისტური იყო და ის მეზობელ ქვეყნებს „უკანა ეზოდ“ მიიჩნევდა. მისივე თქმით, აღნიშნულის გათვალისწინებით, ვერავინ იფიქრებს, რომ რუსეთი სხვა ქვეყნებს თავს არ დაესხმება. შვედეთისა და ფინეთის პრეზიდენტებთან შეხვედრისას შოლცმა განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგი დაარღვია, რამაც ევროპას თავისი თავდაცვის სტრატეგიის გაძლიერება აიძულა. „გერმანია მხარს დაუჭერს ფინეთსა და შვედეთს, თუ ისინი ნატოში გაწევრიანებას გადაწყვეტენ“, - დასძინა შოლცმა.

* * *

დიდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის საშიშროება იზრდება, - განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, გენერალმა მარკ მილიმ თავდაცვის ბიუჯეტის შესახებ სენატის ასიგნებების ქვეკომიტეტის მოსმენაზე. მისივე თქმით, „აშშ ძალიან კრიტიკულ და ისტორიულ გეოსტრატეგიული გადახრის წერტილში იმყოფება, სადაც შეერთებული შტატების არმიამ უნდა შეინარჩუნოს მზადყოფნა და ამავდროულად, შეძლოს მოდერნიზება მომავლისთვის“. როგორც მან განმარტა, „წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხეს ვუქმნით მომავალი თაობების უსაფრთხოებას“.

* * *

მოსკოვის წინააღმდეგ წარმოებული რიტორიკის გამო რუსეთმა 63 იაპონელ მაღალჩინოსანს სანქციები დაუწესა. ინფორმაცია სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა. მიუღებელი რიტორიკის გამო, სანქცირებულთა სიაში მოხვდენე იაპონიის პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირები, ასევე, პროფესორები, ჟურნალისტები და ა. შ.

**მოამზადა**
**ია შველიძემ**

# ვუთხრათ ბულინგს – არა

ნანა აბულაძე 591 98 59 17

***4 მაისი ანტიბულინგის დღეა. ამ დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოში ადამიანები ვარდისფერ მაისურებს იცვამენ სიმბოლოდ იმისა, რომ გმობენ ბულინგს. ტერმინი ინგლისურია და ქართულად ჩაგვრას, აბუჩად აგდებას ნიშნავს***

ბულინგის ნიშნები დღევანდელ სოციუმში ხშირია, აღნიშნულ პრობლემას ვაწყდებით ქუჩაში, სამსახურებში, ოჯახებში, სკოლებში... სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა 21-ე საუკუნეში საკმაოდ მწვავედ დგას. პირდაპირი ბულინგის გარდა, არსებობს შენიღბული, ვერბალური, ფიზიკური, ასევე, ყველაზე ხშირად გამოყენებული - კიბერბულინგი, როცა ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ირჩევს სამიზნეს და მუდმივად ზემოქმედებს მასზე ფსიქოლოგიურად.

ხშირად ბულინგის მსხვერპლი ვერ იცავს თავს, არ მიმართავს შესაბამის უწყებებს, რაც ფატალური შედეგითაც დასრულებულა. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ბულინგი ყველაზე ხშირია მოზარდებში, რასაც იმით ხსნიან, რომ ისინი თავადაც გამხდარან ერთ დროს ბულინგის მსხვერპლი და ცდილობენ, თავიანთი სისუსტე ვინმეს მიმართ აგრესიით გადაფარონ. მიზეზებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ფაქტია, რომ ამ ყველაფერში დამნაშავე ვართ ჩვენ - საზოგადოება, რომელსაც არ სურს წინ აღუდგეს უსამართლობას, თუ ის თავად მას არ ეხება.

ალბათ, ყველა ჩვენგანს გვქონია ერთი შემთხვევა მაინც, როცა სახლში მოსულები სინდისის ქენჯნას შევუწუხებივართ და გვითქვამს - „არა, უნდა დამერეკა პოლიციაში“. როგორც მე, ალბათ, თქვენც თვალწინ დაგიდგათ, როგორ ჩაგრავს ერთი ადამიანი, პირდაპირ თუ ირიბად, მეორეს, მაგრამ თქვენ არ ჩარეულხართ, გითქვამთ, რომ ეს თქვენი საქმე არ არის, მოაგვარებენ. არადა, ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ჩვენ აღმოვჩნდეთ ჩაგრულის ადგილას: ვიღაცამ ზედმეტი წონის გამო დაგვაბულინგოს ან - ზედმეტი სიგამხდრის, იმის გამოც, რომ ბრენდული ტანსაცმელი არ გვაცვია და თავის გამოჩენის მიზნით მუდმივად წინა რიგებში არ ვსხდებით.

უნდა გავიაზროთ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალდებულება და როგორც შეგვიძლია, ისე აღვკვეთოთ ყველა ის ფაქტი, რომელიც ბულინგის ნიშნებს შეიცავს. მიმაჩნია, რომ დუმილი დანაშაულის თანამონაწილედ გვაქცევს. ნუ ვიქნებით ჩაგვრის თანამონაწილე, ხმა მაშინაც ამოვიღოთ, როცა ის არა ჩვენი ოჯახის წევრს, მეგობარს ეხება, არამედ მაშინაც, როცა ქუჩაში მიმავალი ვხედავთ, როგორ ჩაგრავენ სხვას, ჩვენთვის უცნობ ადამიანს.

გადავწყვიტე, ერთ-ერთ სკოლაში მცირე გამოკითხვა ჩამეტარებინა, უბრალოდ მეკითხა, იციან თუ არა, რას ნიშნავს ბულინგი და გამხდარან თუ არა ჩაგვრის მსხვერპლი. დაახლოებით 15 ბავშვს ვესაუბრე, რომელთაგან უმრავლესობამ იცოდა ტერმინის შესახებ, თუმცა არცერთს არ დაუდასტურებია ის, რომ ბულინგის მსხვერპლი თავად გამხდარა. მხოლოდ ერთმა გოგონამ, რომელმაც მთხოვა, ვინაობა არ გამემხილა, თავისი ამბავი მომითხრო.

- უკვე მეთერთმეტე კლასში ვარ და 4 სკოლა გამოვიცვალე. ალბათ მკითხავთ, რას ვმოგზაურობ. დავიწყებ იმით, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახში გავიზარდე, არასდროს გვქონდა არათუ გემრიელი საჭმლის ფუფუნება, არამედ საჭმელიც კი. დედაჩემი თურქეთში გადადიოდა ჩაის საკრეფად, მამა სვამდა და საღამოს მე და ჩემს დას გვსაყვედურობდა, თქვენ გამო ვართ ამ დღეში მე და დედაშენი, თქვენ რომ არ იყოთ, ჩვენს თავს როგორმე მოვუვლიდით, არც ცოლი იქნებოდა ასე შორს ჩემგანო. თუ მთვრალი იყო, დაგვსვამდა და საათობით გვაყვედრიდა აბსოლუტურად ყველაფერს, იმასაც კი, რომ სიცოცხლე გვაჩუქა. ხშირად, ოთახში შეეუუფულ მე და ჩემს დას ისიც კი გვინატრია, რომ ნეტა არ დავბადებულიყავით. ცოტათი დამნაშავედ ვგრძნობ თავს, ამას რომ გიყვებით, რადგან მამა ორი წლის წინ გარდაიცვალა, გული გაუჩერდა, მაგრამ აუცილებლად მინდა გითხრათ ის, რაც მაწუხებს, მიუხედავად იმისა, რომ სახელისა და გვარის საჯაროდ თქმას კიდევ ვერ ვბედავ - მორიგი ბულინგის მეშინია. როცა პატარა ვიყავი, მეზობლის ძაღლმა შემაშინა, მას შემდეგ ენის ბორძიკი დამჩემდა, სწორედ ეს იყო და არის დღემდე ჩემი დაბულინგების თემა. ვითომ უწყინრად მეუბნებიან, აბა, გაიმეორე ეს სიტყვა, ის სიტყვა, რომ მერე იცინონ. ერთმა ჩემმა კლასელმა ქართულის მასწავლებელს უთხრა, მასწავლებელო, ამას არ მოაყოლო ლექსი, მაინც დაამახინჯებსო. მხოლოდ მოსწავლეების მხრიდან - არა, მასწავლებლების მხრიდანაც მიგრძვნია ჩაგვრა, აი, მაგალითად, ხელი ამიწევია, დაფასთან გასვლა მითხოვია, მაგრამ არ გამოვუძახებივარ, ალბათ ჩემი მოსმენა დაეზარა. არც ღონისძიებებში მრთავდნენ, არც სხვა რაიმე შეკრებებში, სადაც თავის წარდგენა იყო საჭირო. ამ ყველაფრის შემდეგ კი ისე დავკომპლექსდი, ხშირად საერთოდ არ ვიღებ ხმას, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა გაკვეთილს ერთნაირად ვამზადებ. ამ ყველაფრის შემდეგ „ცუდი მოსწავლეც“ გავხდი, მაგრამ არავის უკითხავს მიზეზი, რამ განაპირობა ეს. დედა მეუბნება სულ, შენი თავი შეიყვარე ისეთი, როგორიც ხარო, მაგრამ ჯერ ვერ შევძელი, ფსიქოლოგიურად ვერ მივაღწიე თვითდაჯერების იმ ზღვარს, რომ დავძლიო კომპლექსი და ჩემივე ნაკლზე, ისევე, როგორც სხვები იცინიან, მეც შევძლო გაცინება. ჰო, ერთი ბიჭი მომწონდა, ჩემს კლასელს გავუმხილე, იმან კი მიპასუხა, მაგ ბიჭს ისეთი გოგოები მოსწონს, შენ ზედაც არ შემოგხედავს, ასე რომ, მოეშვი ოცნებასო. ხშირად ადამიანები ვერც კი იაზრებენ, ისე გტკენენ გულს. მართლა არ მჯერა, შეგნებულად როგორ შეიძლება ადამიანს მიაყენო ტკივილი? - მითხრა გოგონამ.

დასასრულ, ვიტყვი, რომ ყველა ერთად უნდა დავდგეთ ერთმანეთის კეთილდღეობის სადარაჯოზე, ვისწავლოთ ჩვენი უფლებები და ყველაფერი გავაკეთოთ იმ ადამიანებისთვის, ვინც დაცვას საჭიროებს, დღეს, ახლა და აქ, ვუთხრათ ბულინგს - არა! ვუთხრათ არა - ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებას, რომელიც აფერხებს ჩვენს განვითარებას. მიმაჩნია, რომ თითოეული ადამიანი ღირსია იყოს ბედნიერი, იცხოვროს მშვიდად და სიყვარულით.

# უდიდესი პრივილეგია და პასუხისმგებლობა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*არა მარტო თავად ლექტორისთვის, არამედ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და საამაყოა, როცა ევროპის სასწავლებლებში ქართველები ლექციებს კითხულობენ. ეს, ცხადია, არა მარტო სახელმწიფოს პრესტიჟს ამაღლებს, არამედ ლექტორის პროფესიონალიზმზეც მეტყველებს. ევროპის ქვეყნების საგანმანათლებლო კერებში ქართველმა ლექტორებმა წარმატებები მოიპოვეს. ერთ-ერთი გამორჩეულია ჩვენი თანაქალაქელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი* ***გიგა შარტენაძე,*** *რომელიც ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში სხვადასხვა თემაზე კითხულობს ლექციებს. დღეს იგი ჩვენი სტუმარია.*

**- ცხადია, რომ ლექტორისთვის მნიშვნელოვანი და საამაყოა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების კითხვა. ამ მხრივ გამორჩეული ბრძანდებით, საინტერესოა თქვენი თვალით დანახული უცხოური სასწავლებელი და, ზოგადად, ესპანეთი, სადაც მოღვაწეობთ.**

- უცხოეთის სასწავლებელში საქართველოდან ჩასულისთვის პირველი თვალშისაცემი რაც შეიძლება იყოს, ეს ინფრასტრუქტურაა, სალექციო და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი აუდიტორიები, რომლებიც საჭიროებისამებრ ინდივიდუალურად აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით და სიმულაციებით. იქ ყველა პირობა აქვთ შექმნილი როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს იმისთვის, რომ ლექციაზე თავი კომფორტულად, უფრო მობილიზებულად და შედეგზე ორიენტირებულად იგრძნონ მაქსიმალური ინტერაქციულობით და ინტეგრირებულობით გამორჩეული სალექციო თუ სასემინარო მუშაობის ჩასატარებლად. ზოგადად, ესპანეთი და ის ნაწილი, სადაც მე მომიწია საქმიანობა, უნდა აღინიშნოს, რომ არის უნიკალური ისტორიისა და არქიტექტურის მქონე. ესპანელი ერი სტუმართმოყვარე და ყურადღებიანია, საკმარისია ამ ქვეყანაში ერთხელ მოხვედრა, რომ შეგიყვარდეს და თავი იგრძნო როგორც საკუთარ სახლში.

**- როგორც ცნობილია, თქვენ მურსიას უნივერსიტეტში დაიწყეთ ლექციების კითხვა...**

- დიახ, ოთხდღიანი ინტენსიური შეხვედრები გვქონდა სხვადასხვა კურსის სტუდენტებთან, თითოეულზე 30-30 ახალგაზრდა გვესწრებოდა. ინტერესი თავიდანვე დიდი იყო და მიხარია, რომ სტუდენტებიც კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ჩატარებული სალექციო შეხვედრების შემდეგ, რაც ეტყობა ლექციებზე სტუდენტთა სწრებადობას.

**- როგორც გავიგე, ლექციების თემატიკა მრავალფეროვანია. თქვენი ლექციები რა საკითხებს მოიცავს?**

- ჩვენი შეთავაზებული სალექციო თემატიკა მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა: ღია მმართველობა, ღია მმართველობის პარტნიორობა, მოქალაქისა და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს თანამშრომლობა, საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და ანტიკორუფციული პოლიტიკა. ფაქტობრივად, ყველა იმ აქტუალურ საკითხს, რომლებიც გამოწვევად არის ქცეული ახალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებისთვის.

**- ამ უნივერსიტეტში სხვა ქართველებიც კითხულობენ ლექციებს?**

- აღნიშნული ვიზიტი ორმაგად საპასუხისმგებლო იყო, რადგან მე გახლდით პირველი ლექტორი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ვინც ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ლექციები წავიკითხე მურსიას უნივერსიტეტში.

**- კიდევ რომელი ქვეყნის ლექტორები კითხულობენ ლექციებს ამ უნივერსიტეტში?**

- ჩემი მობილობის პერიოდში საფრანგეთიდან და მექსიკიდან შევხვდი პროფესორებს, რომლებიც ღია ფაკულტეტზე (სადაც მე მიწევდა უშუალოდ ლექციების ჩატარება) სხვადასხვა მიმართულებით კითხულობდნენ სალექციო კურსებს. ბუნებრივია, ეს რიცხვი მზარდია, რადგან მურსიას უნივერსიტეტი მრავალფეროვან სასწავლო პროგრამებს მოიცავს და სხვადასხვა ფაკულტეტზე არაერთი ევროპული ქვეყნის ლექტორები არიან მიწვეულები.

**- რამდენად მნიშვნელოვანია ლექტორისთვის უცხოეთის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა?**

- ის ფაქტი, რომ ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში ლექტორებს გვეძლევა შესაძლებლობა, ევროპული აუდიტორიის წინაშე წარვსდგეთ, ეს არის უდიდესი პრივილეგია და პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, ამას აქვს სხვა ძლიერი მხარეები. მაგალითად, ის რომ შენ როგორც პედაგოგი იღებ საერთაშორისო პრაქტიკას და აღნიშნულ გამოცდილებას შემდეგ უზიარებ შენი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებას. გარდა ამისა, ეს თანამედროვე კონკურენტუნარიან გარემოში შენი პოზიციების გამყარებისთვის არის უმნიშნელოვანესი მოვლენა და ა.შ

**- ლექციების შემდეგ სტუდენტები კითხვებს თუ გისვამენ და ეს კითხვები რას შეეხება?**

- განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მიღწევებმა ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აღებული და შესრულებული ვალდებულებების ნაწილში. რაც არ უნდა გასაკვირად ყღერდეს, მურსიის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო ერთი წელია, რაც აქტიურად დაიწყო საუბარი ღია მმართველობაზე როგორც მართვის ეფექტურ ინსტრუმენტზე, რამაც სტუდენტთა განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია.

**- თქვენი აზრით, რა სხვაობაა ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის თუნდაც სხვადასხვა საკითხის აღქმისა და გაანალიზების კუთხით?**

- რომ გითხრათ კარდინალური სხვაობა არსებობს ქართველ სტუდენტსა და ევროპელს შორის-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. ერთ-ერთი და საკვანძო განმასხვავებელი ფაქტორი გახლავთ ის, რომ ევროპელ სტუდენტებს ეტყობათ ევროპული საგანმანათლებლო (ვგულისხმობ სასკოლო პერიოდს) სისტემის საშუალო საფეხურის ეფექტურობის შედეგი. იქ სტუდენტებს სკოლა ამზადებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ყველაფერს კი ჯაჭვური კავშირი აქვს ერთმანეთთან - საზრიანმა ახალგაზრდამ იცის, რა სპეციალობას ირჩევს, შესაბამისად, რომელ ფაკულტეტზე უნდა სწავლა. მოტივაციაც განსაკუთრებული აქვთ, სურვილი, სიახლისკენ სწრაფვა სწორხაზოვანი და მიზანმიმართულია.

**- მთელი მსოფლიოს თემა უკრაინაა, სტუდენტები, ლექტორები თუ გისვამდნენ კითხვებს ამის შესახებ და, საერთოდ, რა დამოკიდებულებაა ამ ქვეყანაში უკრაინის მიმართ?**

- პირველი, რაც ესპანეთში თვალშისაცემია, ეს არის უკრაინის მხარდამჭერი განცხადებები ქუჩებში, კედლებზე წარწერები, დიდ სავაჭრო ობიექტებში, რესტორნებსა თუ ბარებში უკრაინის ფერებში შეღებილი ვიტრაჟები, სატელევიზიო გადაცემები იწყება და მთავრდება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებით. ერთი სიტყვით, ესპანეთში სრული კონსოლიდაციაა უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით და ყველა გმობს პუტინის რუსეთის საომარ, არაადამიანურ მოქმედებებს უკრაინის ტერიტორიაზე.

**- დაბოლოს, პიროვნებას, საზოგადოების წევრს მრავალი ფაქტორი აყალიბებს, მათ შორის, უპირველესად, საკუთარი ქვეყნის ისტორია...**

- ყველა საერთაშორისო აუდიტორიასთან გამართული შეხვედრა იწყება ჩვენი ქვეყნის გაცნობით, საუბარს კი ვიწყებთ ისტორიაზე, ხალხზე, კულტურაზე, სტუმართმასპინძლობაზე, „ვეფხისტყაოსანზე“, რელიგიაზე, სამზარეულოზე... რა თქმა უნდა, თუ ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის მონაწილენი ვართ, მაშინ ჩვენს - როგორც საზოგადოების წევრის ჩამოყალიბებაში ამ ყველაფერს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

## დამატებითი სანქციები – რუსეთს

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა თეთრ სახლში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ აშშ იზიარებს ევროკავშირის გადაწყვეტილებას რუსეთისთვის სანქციების ახალი პაკეტის დაწესების შესახებ.

„მიმდინარე კვირის განმავლობაში მე ვესაუბრები G7-ის წევრებს იმის შესახებ, თუ რას ვაპირებთ ან არ გავაკეთებთ რუსეთთან დაკავშირებით“, - განუცხადა ბაიდენმა ჟურნალისტებს.

***ცნობისთვის:*** *ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა გუშინ განაცხადა, რომ ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-6 პაკეტს აწესებს, რაც გაერთიანებაში რუსული ნავთობის სრულ აკრძალვას მოიცავს. ამასთან, ევროკავშირის სანქციების მე-6 რაუნდი აუკრძალავს სამ რუსულ სახელმწიფო მაუწყებელს ევროკავშირის ტერიტორიაზე ეთერში გასვლას. სანქციების სამიზნე ასევე რუსეთის უდიდესი ბანკი „სბერბანკიც“ გახდა, რომელიც „სვიფტის“ საგადასახადო სისტემიდან გაითიშება.*

ამირან გურიელიძე

# ერთი მასწავლებლის ფრაზის საპასუხოდ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*მარინა ტარიელაძე საქართველოს სა-პატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულია. ამავე უნივერსიტეტში მიიღო მაგისტრის ხარისხიც „ქართველური ენათმეცნიერების“ მიმართულებით. წლების განმავლობაში მუშაობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შუახევის ბიუროს კორესპონდენტად, ასევე - „კვირა. ჯის“ ჟურნალისტად. რამდენიმე წელი იმუშავა შუახევის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტად. ამჟამად ტაკიძეებისა და ცხემლისის საჯარო სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის.*

**- მარიამ, თქვენს ცხოვრებაში ჟურნალისტიკა როგორ შემოვიდა?**

- სასიამოვნოა ჩემთვის თქვენს გაზეთში მოწვევა. გამოგიტყდებით, ჟურნალისტიკა ჩემი ბავშვობის გატაცება არ ყოფილა, თუმცა არც შემთხვევით მოვხვედრილვარ აღნიშნულ სპეციალობაზე. თავდაპირველად ფილოლოგობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ერთ-ერთი პედაგოგის ფრაზამ დამაფიქრა: წერა კარგად გეხერხებაო. საგამოცდო საბუთების მიღების ბოლო ვადები იყო, როცა ჟურნალისტიკაზე ჩაბარება გადავწყვიტე. შემდეგ მაგისტრის ხარისხით მაინც შევეცადე საფუძვლიანად შემესწავლა ქართველური ენებიც.

**- მამით ობოლი გოგონა უმაღლესი განათლების მიღებისთანავე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შუახევის ბიუროს ჩაუდექით სათავეში. როგორ დაძლიეთ?**

- ჯანსაღი კონკურენცია აუცილებელი და მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის. დაძლევაში საკუთარი შესაძლებლობები, შრომისმოყვარეობა, საქმისადმი პატივისცემა და უნივერსიტეტში მიღებული განათლება დამეხმარა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ლექტორ-მასწავლებლებს.

**- ადამიანი, რომელიც მომავალ ჟურნალისტს გვერდით დაგიდგათ...**

- ამ კუთხით ერთი კონკრეტული ადამიანის დასახელება შეუძლებელია, თუმცა მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა: ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვიყავი, როდესაც ჩვენი კურსი, ემენ დავითაძის ხელმძღვანელობით, საუნივერსიტეტო გაზეთ „კალმოსნებს“ გამოსცემდა. რამდენიმე სტატია დავწერე. აქედან გამიმძაფრდა სურვილი, მემუშავა ჟურნალისტიკაში, რისთვისაც მადლობას ვუხდი ბატონ ემენ დავითაძეს. ჩემს დაოსტატებაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას, პროდიუსერებსა და ჟურნალისტებს.

**- ჟურნალისტის რთულ საქმიანობას ოჯახის შექმნა, ქალიშვილის გაჩენა შეუთავსეთ. ბარათაულელმა გოგონამ ტაკიძეებში ჩამოინაცვლეთ. მეუღლისა და დედამთილ-მამამთილის თანადგომაზე რას გვეტყვით?**

- ჟურნალისტიკა არის სფერო, სადაც თანადგომის გარეშე თავისუფალი ადამიანიც კი ვერ შეძლებს გამოწვევების გამკლავებას, ოჯახი, ბავშვი და მაგისტრატურაში სწავლა ძალიან დიდ ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვდა, ცხადია, ჩემთვის ოჯახი იყო მნიშვნელოვანი საყრდენი, საფუძველი მომავალი წარმატებისა, რისთვისაც ასე საჯაროდ მინდა გადავუხადო მადლობა დედამთილ-მამამთილსა და მეუღლეს.

**- რა არის თქვენი ოჯახური ბედნიერების საფუძველი?**

- სიყვარულია ამ სამყაროში ყველაფრის საწყისი. სწორედ ამ გრძნობამ დამაძლევინა ყველა ბარიერი. დიახ, ყველა სიძნელე ყველაზე სანდო და საიმედო, სულით ძლიერ ადამიანთან ერთად გადავლახე.

**- ვიცი, რომ თქვენს მამას ტრაგიკული ბედი ერგო, დედამ კი შვილებს არაფერი დაგაკლოთ, უკვე ქალ-ვაჟის დედა, როგორ აფასებთ მის როლს თქვენსა და დანარჩენი დედმამიშვილების დაკვალიანებაში?**

- ჩემთვის დედის როლი შეუფასებელია. ფაქტობრივად, მარტომ, 32 წლის ახალგაზრდა ქალმა, 4 პატარა ბავშვი ურთულეს პერიოდში გაგვზარდა. მან გვასწავლა ადამიანობა, სხვისი დაფასება, სიყვარული, თავმდაბლობა. მიგვაღებინა განათლება. მიმაჩნია, რომ მაღალზნეობრივი, ღირსეული ადამიანი მხოლოდ აღზრდის შედეგად გახდე, შეუძლებელია, თუ მაგალითის მიმცემი არ გყავს. ასეთად კი დედაჩემს მივიჩნევ.

**- ჟურნალისტიკა შემოქმედებით მიდგომას ითხოვს. რაა მთავარი, რომ ჟურნალისტად შედგე?**

- ჟურნალისტიკა შემოქმედებით თვისებებთან ერთად ობიექტურობას, ინფორმაციის გადაფასებას, ანალიზს და სხვა მრავალ უნარს მოითხოვს. ჟურნალისტიკა არაა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება. გავიხსენებ ერთ-ერთი ლექტორის, აწ განსვენებულ ბატონ იოსებ სანიკიძის სიტყვებს: ჟურნალისტიკა ექიმის პროფესიას ჰგავს, მედიკოსი თუ ფიზიკურად ეხება პაციენტს, ჩვენ, ჟურნალისტები სულიერად ვახდენთ გავლენასო. ამიტომ დიდი სიფრთხილე სჭირდება ინფორმაციის მოძიებასა და მსმენელამდე მიტანას.

**- ეთერში პირველ გასვლას როგორ გაიხსენებთ?**

- ჩემი მომზადებული ყველა სიუჟეტის ეთერში გასვლისას თავისებური ემოცია მქონდა. რა თქმა უნდა, პირველი სულ სხვა განცდის მომტანია, თუმცა ყველაფერს რესპონდენტისა თუ მსმენელის კმაყოფილება აგვირგვინებს.

**- ჟურნალისტის ხედვა თავისებურია, საზოგადოება ჩვენგან სამართლიან მიდგომას ითხოვს. კრიტიკაც არავის სიამოვნებს... თუ გაიხსენებდით ოფიციოზის რისხვას, რაც ეთერში კრიტიკული სიუჟეტის გასვლას მოჰყვა?**

- არასოდეს მომიმზადებია „თითიდან გამოწოვილი“ მასალა. ყოველთვის ვცდილობდი, ფაქტებით გაჯერებული, სრულყოფილი ინფორმაცია მიმეწოდებინა მსმენელისთვის. მიუხედავად წინდახედულებისა, ერთხელ მოხდა გაუგებრობა და კრიტიკული ინფორმაცია, რაც რესპონდენტს სურდა, ვერ გავიდა ეთერში, თუმცა თემის საპასუხო კომენტარი - გავიდა, რასაც მოჰყვა ჩემ მიმართ აგრესია. ეს იმდენად მტკივნეული და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა, რომ დღესაც, როცა ვიხსენებ, ისეთივე მწვავე რეაქცია მაქვს, როგორც მაშინ.

**- ჟურნალისტი კურიოზის გარეშე ვერ იმუშავებ, ალბათ, გასახსენებელი მრავლად გექნებათ?**

- გავიხსენებ ერთ-ერთს: ქედაში ვიყავით გადაღებაზე. მომდევნო სიუჟეტი შუახევში უნდა გაგვეკეთებინა. არ ვიცი, დროის სიმცირის გამო თუ ნერვიულობის გამო, მიკროფონი ქედაში დამრჩა, რაც მხოლოდ მეორე გადაღებაზე მისულმა აღმოვაჩინე.

**- ჟურნალისტის კოდექსსა და ქარტიას რამდენად უერთგულეთ?**

- ჟურნალისტი ქარტიისა და კოდექსის პრინციპებს თუ არ ასრულებს, ამახინჯებს ჟურნალისტიკას. ვარ ქარტიაზე ხელისმომწერი ჟურნალისტი. ვფიქრობ, ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმალური გავაკეთე ჟურნალისტიკის პრინციპების დასაცავად.

**- რამდენად გამართლებული იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის შუახევის ბიუროს ხელაღებით გაუქმება?**

- ჩემთვის მიზეზი ახლაც გაურკვეველია. მაშინ, როცა ტელევიზია არის რეგიონის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ბიურო დაშვებულია ყველა მუნიციპალიტეტში, რატომ უნდა გაუქმდეს მაინცდამაინც შუახევში? ეს ფაქტი მიუღებელიცაა და ამოუცნობიც.

**- უკვე უფროსი მასწავლებელი ხართ, კოლეგა შუშანა ტარიელაძის მსგავსად მენტორი მასწავლებლის პოზიციაზეც შეიძლება გახვიდეთ, მაგრამ შუახევის ბიურო რომ აღდგეს და შემოთავაზება იყოს, რომელ სპეციალობას აირჩევდით?**

- ჩემთვის ორივე საყვარელი და მიმზიდველია, თუმცა სკოლაში დარჩენას ავირჩევდი. ბავშვებთან ურთიერთობა ძალიან გულწრფელია, ასევე განვითარების შესაძლებლობა მაღალია. შუშანა მასწავლებელი ჩემთვის ნამდვილად სამაგალითო და მისაბაძი კოლეგაა, თუმცა შევძლებ თუ არა მენტორის სტატუსის მოპოვებას, დრო გვაჩვენებს. აღსანიშნავია, რომ შრომისმოყვარეობით ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია.

**- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ალბათ, სალიტერატურო ენის ნორმების სადარაჯოზე დგახართ?**

- მაქსიმალური ყურადღება და ცოდნაა საჭირო შესაბამისი ნორმების დასაცავად. ჩემი ძალისხმევის შედეგად, რა თქმა უნდა, ვახერხებ. გამეორება ცოდნის დედაა, არის საკითხები, რომლებსაც ყოველთვის ვამოწმებ. ვცდილობ, მოსწავლეებს სწორი სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის აუცილებლობა ჩავუნერგო.

**- დოქტორანტურასაც უმიზნებთ. აქედან მშობლიურ უნივერსიტეტში ლექციის კურსის წაყვანამდე არაა შორს.**

- მიზნები ამოუწურავია... მართალია, ამასაც ვფიქრობდი, თუმცა ამჟამად უახლოეს პერსპექტივაში ვერ განვიხილავ დოქტორანტურაზე ჩაბარებას. თუ მომეცემა საშუალება, მშობლიურ უნივერსიტეტში წავიკითხო ლექციები, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იქნება.

**- რა კრიტერიუმებია დასაძლევი, რომ ოცნება აისრულო, მიზანს მიაღწიო?**

- მიზნის მისაღწევად ყველა ადამიანს თავისებური გეგმა აქვს, თუმცა, ვფიქრობ, მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა და საქმის სიყვარული ყველა სირთულეს დაგაძლევინებს და ოცნებას რეალობად აქცევს.

**- სამოსახლო ოთოლთას ციხის რაბათში გაქვთ. ყოფილი ჟურნალისტი, წარმატებული პედაგოგი რას აკეთებთ გმირული წარსულის სადიდებლად და თაობებისთვის გადასაცემად?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო პროცესი მომავალი თაობის აღზრდაა, სწორედ ეს მაძლევს ძალას და ენერგიას, რომ მაქსიმალური გავაკეთო ამისთვის. არ ვიშურებ ჩემს გამოცდილებას.

**- შვილებს ჟურნალისტობას ურჩევდით?**

- ყველა პროფესია თავისებურად საინტერესოა. პროფესია თავად ავირჩიე, ამიტომ არც ჩემი შვილების არჩევანში ჩავერევი. მთავარია, მათ უყვარდეთ და აკეთონ სასიამოვნო საქმე. მიმაჩნია, რომ სიყვარულით უფრო მარტივად დაძლევენ ყველა სირთულეს.

**- ჟურნალისტიკასა და პედაგოგიურ ასპარეზზე გარკვეული გამოცდილება შეიძინეთ. რა მეთოდებითა და მიდგომებით ცდილობთ შენაძენის სხვისთვის გაზიარებას?**

- ადამიანური თვისებებიდან ერთს - დაუზარლობას გამოვყოფდი. ვცდილობ, ჩემი დახმარება, ცოდნის გაზიარება თუ ვინმეს დასჭირდება, არასოდეს ზურგს არ შევაქცევ.

**- სტუდენტობის დროინდელ პრესას თუ გადავხედავთ, ლექსთან და პროზასთან ჭიდილზეც უარს არ ამბობდით, მუზასთან ურთიერთობა დროებით შეაჩერეთ თუ...?**

- ცხოვრების რეჟიმიდან გამომდინარე, ამჟამად წერას დავშორდი, თუმცა სამომავლოდ, შესაძლებლობა თუ მექნება და მუზაც მიერთგულებს, აუცილებლად გავაგრძელებ.

**- სად მეტი მეგობარი შეიძინეთ?**

- მეგობარს პროფესიული ნიშნით არ ვარჩევ, თუმცა ურთიერთობიდან გამომდინარე, ორივე სფეროში შევიძინე ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანები.

**- 3 მაისს პრესის თავისუფლების დღე იყო. ვის მიულოცავდით?**

- მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ დღეს ვულოცავ ჟურნალისტებს, რომლებიც ყველაზე ცხელი წერტილიდან - უკრაინიდან გვაწვდიან ინფორმაციას სიცოცხლის რისკის ფასად.

> *„არასოდეს მომიმზადებია „თითიდან გამოწოვილი“ მასალა. ყოველთვის ვცდილობდი, ფაქტებით გაჯერებული, სრულყოფილი ინფორმაცია მიმეწოდებინა მსმენელისთვის. მიუხედავად წინდახედულებისა, ერთხელ მოხდა გაუგებრობა და კრიტიკული ინფორმაცია, რაც რესპონდენტს სურდა, ვერ გავიდა ეთერში, თუმცა თემის საპასუხო კომენტარი - გავიდა, რასაც მოჰყვა ჩემ მიმართ აგრესია*

# უკრაინა

**მე-3 გვერდიდან**

მათივე ცნობით, ზაპოროჟიეს მიმართულებით რუსულმა ძალებმა თავდასხმის ოპერაციები განახორციელეს ორიხივის დასახლების მიმართულებით, თუმცა წარუმატებლად. გენშტაბში აცხადებენ, რომ ბესარაბიის მიმართულებით ვითარება კვლავ დაძაბულია, მაგრამ უკრაინის კონტროლის ქვეშ რჩება. „გასული დღის განმავლობაში უკრაინის საჰაერო და სახმელეთო ძალების საჰაერო თავდაცვის დანაყოფებმა მტრის 7 უპილოტო საფრენი აპარატი და 8 საკრუიზო რაკეტა გაანადგურეს. დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში, ბოლო 24 საათის განმავლობაში, უკრაინელმა სამხედროებმა მტრის 12 თავდასხმა მოიგერიეს, განადგურდა 6 ტანკი, 5 საარტილერიო სისტემა, 15 ერთეული ჯავშანტექნიკა და 9 ერთეული მანქანა. მტერს დანაკარგები აქვს სხვა ტერიტორიებზეც“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

***

თუ დიქტატორებს არ შეეწინააღმდეგები, ისტორიამ გვაჩვენა, ისინი მოდიან, მოდიან... მათი ძალაუფლების მადა იზრდება, - ამის შესახებ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინელების წინააღმდეგობის შესახებ საუბრისას ალაბამას შტატში მდებარე იარაღის მწარმოებელ Lockheed Martin-ის ქარხანაში სტუმრობისას განაცხადა. მედიის ცნობით, აღნიშნულ ქარხანაში ტანკსაწინააღმდეგო ჯაველინის რაკეტებს აწარმოებენ. იგი ერთ-ერთია იმ შეიარაღებიდან, რომელსაც ამერიკა უკრაინას აწვდის. „ჩვენ დავრწმუნდით, რომ უკრაინაში აღჭურვილობის მიწოდება არ შეფერხდება. მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, მარტო ჩვენ 3 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების უსაფრთხოების დახმარება გავუგზავნეთ უკრაინას. ეს ფული პირდაპირი ინვესტიციაა თავად თავისუფლებისა და დემოკრატიის დასაცავად“, - განაცხადა თეთრი სახლის ლიდერმა.

***

უკრაინის საზღვრის დაცვის სამსახური არ გამორიცხავს, რომ რუსეთმა ბელარუსის ტერიტორია და შეიარაღებული ძალები უკრაინის წინააღმდეგ გამოიყენოს. „არ გამოვრიცხავთ, რომ რუსეთის ფედერაციამ რაიმე მომენტში ბელარუსის ტერიტორია, მისი შეიარაღებული ძალები უკრაინის წინააღმდეგ გამოიყენოს, ამიტომ მზად ვართ“, - განაცხადა საზღვრის დაცვის სამსახურის პრესსპიკერმა ანდრეი დემჩენკომ მას შემდეგ, რაც ბელარუსმა მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო. დემჩენკოს თქმით, უკრაინამ ბელარუსთან საზღვარი რუსეთის ქვეყანაში შეჭრის შემდეგ გააძლიერა.

***

უკრაინელმა სამხედროებმა იზიუმთან განლაგებული მტრის კოლონა და საბრძოლო მასალები გაანადგურეს, - უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ოდესის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარმომადგენელმა სერგეი ბრაჩუკმა Telegram-ზე განაცხადა. „უკრაინულმა არტილერიამ იზიუმთან გაანადგურა რუსული კოლონა საბრძოლო მასალებით. ეს მოხდა იზიუმიდან 20 კილომეტრის დაშორებით, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მტერი თავისი ზურგის მხარედ თვლიდა“, - წერს ბრაჩუკი.

***

ლუგანსკის ოლქში რუსების მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, ორი კი დაშავდა, - ამის შესახებ ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სერჰი გაიდაიმ Telegram-ში განაცხადა. „მტერმა რეგიონში საცხოვრებელ უბნებზე თავდასხმა 34-ჯერ განახორციელა. ლისიჩანსკისა და პოპასნაიაში დაიღუპა ორი ადამიანი, ორი კი ლისიჩანსკში დაშავდა“, - განაცხადა გაიდაიმ. მისი თქმით, თავდასხმების შედეგად 45 საცხოვრებელი სახლი და სხვა ობიექტები დაზიანდა.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# ნოვატორი პედაგოგი, ჩინებული ხელმძღვანელი

აჭარის მთიანეთის ღვაწლმოსილ პედაგოგთა და პოლიტიკოსთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ბრილის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვან მასწავლებელს ფატი ჭაღალიძეს. იგი ნანული ბოლქვაძისა და შაქრო ჭაღალიძის ერთადერთი ქალიშვილია. მშობლები და ინწკირვეთის საშუალო სკოლის პედაგოგები მასში თავიდანვე მიზანსწრაფულობას, მრავალმხრივ ინტერესებს, გულმოდგინებას, ორგანიზატორულ ნიჭს, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობას, გულისხმიერებას ხედავდნენ.

1991 წელს მშობლიური ინწკირვეთის საშუალო სკოლა დაამთავრა და იმავე წელს გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, ოჯახი, დედობა, სწავლა და შრომა ერთმანეთს შეუთავსა. ოჯახი 17 წლის ასაკში შექმნა. სამ შვილს დედობრივი მზრუნველობა, ბრილის საჯარო სკოლის მოსწავლეებს თანადგომა არ მოაკლო. აღსაზრდელებისათვის იგი იმედად, ცხოვრების მეგზურად იქცა. ხელოვანი მასწავლებელი და აღმზრდელი ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მომარჯვებით, მხატვრული დიდოსტატების ნაღვაწით ამაღლებს და აკრისტალებს მოზარდების ზნეობას, მარცვალ-მარცვალ თესავს მათ გულებში სიკეთეს, სათნოებას, სიწმინდეს, სილამაზეს, ასწავლის ფიქრს, აზროვნებას, ძიებას, მსჯელობას, დასკვნის გაკეთებას, უნერგავს ცოდნის წყურვილს, სისპეტაკესა და კაცთმოყვარეობას, კარგ ადამიანად გახდომის სურვილს.

ამ რწმენით შთაგონებული უზრდიდა და უზრდის მამულს შემოქმედი პედაგოგი ღირსეულ მოქალაქეებსა და ჭეშმარიტ მამულიშვილებს.

ფატი ჭაღალიძე კვალიფიციური მოხსენებებით გამოდის „პედაგოგიურ კითხვებსა“ და სამეცნიერო პედაგოგიურ კონფერენციებზე. თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს. მისი ერთ-ერთი მოხსენება „წიგნის როლი და მნიშვნელობა მოზარდი თაობის აღზრდაში“ აჭარის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

სწორედ დიდი დაფასების გამოხატულებაა ის, რომ მაძიებელი, შემოქმედი პედაგოგი 2013-2017 წლებში წყალსაყრელებმა თავის დეპუტადად აირჩიეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მმართველი პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რიგებიდან. მისი ჩართულობით წყალსაყრის თემის სოფლებში - ნაღვარევში, ხაბელაშვილებში, ბრილში, ინწკირვეთში, ჟანივრში ათეულობით მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მაჟორიტარ დეპუტატობას 2013 წლიდან საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეობასაც უნარიანად უთავსებდა.

ფატი ჭაღალიძეს, შუახეველ პედაგოგთაგან პირველს, ერგო პატივი, ქვეყნის 10 პედაგოგთან ერთად გაემარჯვა კონკურსში „მეგზური ევროპისკენ“ და მიეწვიათ ესტონეთის რესპუბლიკაში.

როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ფატი აქტიურადაა ჩართული ბრილის სკოლასა და წყალსაყრის თემის სოფლებში გამართულ ღონისძიებებში. მას პატივი ერგო, წაეყვანა ბრილში ქართული სკოლის აღდგენის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, ჯეროვანი პატივი მიეგო შრომის ვეტერანებისთვის, ღირსეულად აღენიშნა ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ფრიდონ ხალვაშისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო თარიღები.

ბრილის საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში, პროექტებში და ხშირადაც იმარჯვებენ. კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, რაშიც დიდი წვლილი ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვან მასწავლებელს ფატი ჭაღალიძესაც მიუძღვის.

2017- 2021 წლების თვითმმართველობის არჩევნებში ფატი ჭაღალიძე მმართველი პარტიის პროპორციული სიით მეორედ აირჩიეს, საკრებულოში იგი ხელმძღვანელობდა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, ხოლო 2021 წლის დეკემბრიდან სათავეში ჩაუდგა განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის საკითხთა კომისიას. 2016 წლიდან შუახევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეა.

პედაგოგიურ და პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად, იმაღლებს პროფესიულ და პოლიტიკური ცოდნას. 38 დღე დაჰყო ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლაში, 6 თვე კვალიფიკაციას იმაღლებდა ნიდერლანდების მრავალპარტიულ, დემოკრატიულ სკოლაში. მონაწილეობდა „მეწარმე ქალთა ბიზნესის“, „გენდერული საკონსულტაციო საბჭოების“ და „პოლიტიკურ პროცესებში ქალების მონაწილეობის“ საკითხებზე მიძღვნილ ფორუმებში. მისმა მოხსენებამ „წარმატებული სასწავლო პრაქტიკა და სწავლების ინოვაციური მეთოდები“ შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა მოწონება დაიმსახურა. გავლილი აქვს პროფესიული განვითარების სემინარები. ცხადია, შესაბამისი სერტიფიკატებიც ინახება ნოვატორი პედაგოგის პირად საქმეში.

ხანგრძლივი და წარმატებული პედაგოგიური და სახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოებულია მთავრობისა და განათლების ორგანოების ჯილდოებით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ღირსების სიგელით „აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისთვის“, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის, აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სხვა ორგანიზაციების სიგელებით - „მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებისთვის“.

სანაქებო, სიყვარულით გამთბარი ოჯახი ჰყავს ფატი ჭაღალიძეს. მეუღლე თემურ ბოლქვაძე სამაგალითო პიროვნებაა. ამ მშვენიერმა წყვილმა სამი შვილი გაუზარდა ქვეყანას. ამასთან, ქალბატონი ფატი ყველაფერს აკეთებს დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე მამულიშვილების აღზრდისთვის, მშობლიური კუთხის კულტურული დაწინაურებისათვის.

**აკაკი ზოიძე,**
**ოთარ ცინარიძე**

# სენაკიდან - ოლადაურში

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***ხიჭაურის საჯარო სკოლა ინგლისურ ენაში მოსწავლეთა კონკურსს მასპინძლობდა, რომელზეც შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ ოლადაურის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ლიკა პირტახია წარმოგვიდგინა.*** იგი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. საბაკალავრო კურსის შემდეგ მაგისტრატურა თბილისში დაამთავრა. აქვე გაიარა მასწავლებლის 60-კრედიტიანი მომზადების პროგრამა და კონკურსის გავლის შემდეგ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოლადაურში ინგლისური ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

ლიკა სენაკელია. მამით ობოლმა გოგონამ დედისა და ძმის თანადგომით, საუკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით უკვე ბევრს მიაღწია, უმაღლესი განათლება რომ მიიღო, ძმასაც გზა გაუკვალა სწავლისაკენ, რომელიც ამჟამად ბიზნესადმინისტრირების სპეციალობას ეუფლება.

- სამეგრელო, იმერეთი, შემდეგ - თბილისი იყო ჩემი სწავლისა და შრომის არეალი. მრავალი მეგობარი და ახლობელი შევიძინე. თავის დროზე აჭარის მთიანეთის შორეულ სოფელ ოლადაურში სამუშაოდ წამოსვლა რომ გადავწყვიტე, ბევრს გაუკვირდა: სად მიდიხარ, იქაურობას არ იცნობ, ახლობელი, გზისმკვალავი არავინ გყავსო. მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ახლა თავს ბედნიერად ვგრძნობ, მიხარია, რომ საკუთარი არჩევანისთვის ყველაფერი გავაკეთე. აქ დამხვდა შესანიშნავი გარემო, საღად მოაზროვნე ადამიანები, კარგი პედაგოგიური კოლექტივი, ცოდნას მოწყურებული მოსწავლეები. ვერც წარმოვიდგენდი, თუ დროის მოკლე მონაკვეთში ისინი ინგლისურ ენას ასე საფუძვლიანად დაეუფლებოდნენ. შესანიშნავი ოჯახური გარემო შემიქმნეს აქაურმა ქარცივაძეებმა.

**- გულისწორადაც აქ ხომ არ მოგინიშნავთ ვინმე?**

- საბედნიეროდ, ამ კუთხითაც არჩევანი უკვე გაკეთებული მაქვს. სამომავლოდ დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში ვაპირებ გადაბარგებას. დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებასაც ვგეგმავ. მეგობრები, რომლებიც თბილისში მყავს, უცხოეთს კარგად იცნობენ. ქართველმა, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყანა უნდა შეიცნოს, ყველა კუთხე მოიაროს. კარგია შვედეთში, შვეიცარიაში, თუნდაც საფრანგეთში მიღებული განათლება, მაგრამ ეროვნულის უგულებელყოფა მართებულად არ მიმაჩნია. აქაურობაზე რომ მეკითხებიან, ჩემს შეფასებაში სულ პლუსებია, მინუსები ჯერ არ შემხვედრია. მეგობრებსაც ვურჩევ, ეწვიონ აჭარის მთიანეთს, გაიცნონ შრომისმოყვარე, სტუმარმასპინძლობის, ადათ-წესების დამცველი მარეთელები.

**- წლევანდელმა მკაცრმა ზამთარმა ხომ არ შეგაშინათ?**

- ასეთ მკაცრ, უხვთოვლიან ზამთარს ჩვეული არ ვიყავი. სენაკში თოვლს ერთი ან ორი დღით თუ დადებს და ქრება. დეკემბრიდან მოყოლებული, მარტი ისე მიიწურა, რომ მზე სანატრელი გაგვიხდა. ბარაქალა ამ ადამიანების გამძლეობას. ისინი ერთხელაც არ მინახავს გულშეწუხებული. გასაოცარია აქაურების დამოკიდებულება შვილების სწავლა-აღზრდისადმი. აქ გატარებული ერთი სასწავლო წელი ჩემი გამოცდილებისათვის დიდი შენაძენია. ბევრი მადლი, სიყვარული მიმაქვს ამ დალოცვილი სოფლიდან. ჩემთვის ყოველი დღე ახალი შენაძენებით იწყება და მთავრდება. უკვე გათავისებული მაქვს აქაური ქარცივაძეების, მაკარაძეების, ბერიძეების მდიდარი წარსული, მათი დამოკიდებულება ეროვნული სიწმინდეებისადმი.

**- ეროვნულ სიწმინდეებს რას უწოდებთ?**

- თუნდაც გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს. ხეობაში ის პირველი მართლმადიდებლური სამლოცველოა. ჩემთვის გასაოცარია ის ტოლერანტობა, რომელიც აქ ვნახე. ოჯახში მოხუცები ისლამის მიმდევრები არიან. მარხვის რიტუალსაც ასრულებდნენ. შვილები მართლმადიდებლობას არიან ზიარებულნი და ტაძარში ლოცულობენ. მსურდა, წლევანდელ აღდგომაზე გამონათლევის ტაძარში მომელოცა, მაგრამ დედას გული არ დავწყვიტე და სენაკში წავედი. სხვათა შორის, ამ კუთხეში ყველაზე მეტად მასწავლებლის შრომას აფასებენ. ოჯახში რომ შევდივარ, მოხუცებულიც კი ფეხზე წამოდგება. რთული ცხოვრების პირობების ფონზე აქაურები გამოსავალს შვილის განათლების მიღებაში ხედავენ.

**- მოსწავლეთა წიგნიერებას როგორ აფასებთ?**

- ოჯახში, სადაც ვცხოვრობ, ჰყავთ პირველკლასელი ნატა ქარცივაძე. იგი სკოლიდან შინ მოდის თუ არა, წიგნი უჭირავს ხელში. განა მარტო ის? მოსწავლეთა უმრავლესობა თავისუფალ დროს წიგნებს, კლასგარეშე ლიტერატურას უთმობს. მათ გათვითცნობიერებული აქვთ ერთი შეგონება - პატარა სოფლის მკვიდრებმა სამყაროს მათი შესაძლებლობები უნდა დაანახონ. განთლება მათთვის მთავარია.

**- ცხადია, მასწავლებლის კარიერის გაგრძელებას აპირებთ.**

- საკუთარ გონებაში ყველაფერი თუ არ გადავხარშე, ისე დასკვნებს, განმარტებებს არ ვაკეთებ. აქამდე კერძო მასწავლებელი ვიყავი თბილისში. სკოლაში მუშაობას თავისი გამოწვევები, სპეციფიკა აქვს. აქაც ბევრი ვისწავლე. უკვე მიჩნდება სურვილი გარკვეული სიმაღლეების დასალაშქრად.

# სპორტის სასახლის საძირკველში დუღაბი ჩაასხეს

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***შემოდგომაზე ღორჯომის ცენტრს სპორტის სასახლის ახალი შენობა შეემატება. ამ და ხეობის სხვა სოფლებს მრავალი სახელოვანი სპორტსმენი ჰყავს აღზრდილი, რომლებიც ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის, რეგიონის ღირსებას იცავდნენ საერთაშორისო ტურნირებზე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. სპორტის სხვა სახეობებშიც წარმატებები მრავალგზის აქვთ მოპოვებული აქაურ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს***

დიდ სპორტთან ზიარებას ისინი ხასხასა მდელოზე ან ღორჯომის, მეკეიძეების, დიდაჭარის, ირემაძეების საჯარო სკოლების დარბაზებში იწყებდნენ. ახალგაზრდები სპორტის სასახლის მშენებლობას ითხოვდნენ. ამისთვის აჭარის მთავრობის ბიუჯეტიდან 850 ათასი ლარი გამოიყო.

«აჭარის პროექტების მართვის» კომპანიის დირექტორმა ბაქარ ჩიტაიამ, დირექტორის მოადგილე გოჩა გაბრუშიძემ, მთავარმა ინჟინერმა მირზა ბოლქვაძემ, მენეჯერებმა გიორგი ქათამაძემ და ასლან გელაძემ ტიპური პროექტის მომზადებას, სხვა სამუშაოებს საკმაო დრო მოანდომეს. შენობისთვის ტერიტორიის გამონახვაზე რომ მიდგა საქმე, ღორჯომელმა როინ ირემაძემ საკარმიდამო ნაკვეთის ნაწილი დათმო. გასული საუკუნის 30-იან წლებში ღორჯომში 8-წლიანი სკოლის ბაზაზე ხულოს რაიონის პირველი საშუალო სკოლა რომ იხსნებოდა, მაშინაც როინის წინაპარ ირემაძეებს შეუთავაზებიათ შენობის აგება საკუთარ ტერიტორიაზე.

- ჩემი წინაპარი მე-18 საუკუნეში ღორჯომიდან გურიის რეგიონში გადავიდა საცხოვრებლად. მშობლიურ კუთხესთან, აქაურ ირემაძეებთან ურთიერთობები არ დაგვიკარგავს. ყოველთვის ვცდილობ, ღორჯომსა და ღორჯომელებს ხელი წავახმარო. სათხილამურო ბაგირგზა თავის დროზე ქველმოქმედებით დავუმონტაჟე, სხვა აქტივობებში აქტიურად ვარ ჩართული. სპორტის ახალი სასახლის მშენებლობა შპს «ნაომარმა» ითავა. მისი დირექტორი სულხან ბერიძე ჩემი ახლობელია. იგი კონკურსში გამარჯვებული კომპანიის ქვეკონტრაქტორია. გაძვირებული სამშენებლო მასალების და საწვავის ფონზე, მოგება დიდი

არ იქნება, მაგრამ რომც დავზარალდე, არ დავიწუწუნებ. მინდა წინაპრების საცხოვრისზე აგებულ შენობაში ჩემი წილიც ჩავდო, ყველაფერი პროექტის დაცვით და ხარისხიანად გავაკეთო, - გვითხრა მეცენატმა, ქველმოქმედმა გოჩა ირმაძემ.

იხ. მე-7 გვ.

# პროექტის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, მიმდინარე გრანტის „მე მაქვს უფლება - დამხმარე ტექნოლოგიები შშმ პირების სამსახურში, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების, უკეთესი განათლების, შრომისა და დასაქმების ხელშესაწყობად“ პროექტის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მოწვეული საერთაშორისო დამხმარე ტექნოლოგიების სპეციალისტი ქამილ მათა უძღვებოდა.

წარმოდგენილი იყო დამხმარე ტექნოლოგიები, რომლებიც მოიცავენ კომუნიკაციის საშუალებებს, კომპიუტერის მართვის მოწყობილობებს, სვიჩებს, გარემოს მაკონტროლებლებს, სამონტაჟო სისტემებს.

შეხვედრას აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე ესწრებოდნენ.

პროექტს „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ ახორციელებს.

# ტრენინგები - აჭარის რეგიონში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს, რომელიც თეორიულ-პრაქტიკულ ტრენინგებს ამჯერად განთავსების ობიექტების დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებისთვის ატარებს.

„მონაწილეები დასუფთავების სამსახურის მმართველი რგოლისა და სამრეცხაოს ზოგადი მუშაობის ძირითად პრინციპებს ეცნობიან. მთლიანობაში ტრენინგების შედეგად სასტუმროების 50 თანამშრომელი გადამზადდება. წლის ბოლომდე სემინარები, ტრენინგები, მასტერკლასები საოჯახო-სასტუმრო სახლების, კვებისა და განთავსების ობიექტების წარმომადგენლებისთვის იგეგმება. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი ტრენინგების განრიგი განთავსებულია სერვისის განვითარების ვებ-გვერდზე serviceajara.ge. მათში მონაწილეობა უფასოა და მსურველებს დარეგისტრირება ონლაინ შეუძლიათ“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

# ირაკლი კობახიძე: აქამდე ამ ფსიქიკური პრობლემებით ის პრეზიდენტობასაც ახერხებდა და, მგონი, პატიმრობასაც მოახერხებს

- სააკაშვილს უნდა სცოდნოდა, რომ საქართველოში რისკის ფასად ჩამოდიოდა. მას უნდა გაეცნობიერებინა, რომ ხელისუფლების გადატრიალების მცდელობა ვერ იქნებოდა რისკის გარეშე. ახლა სიმულიანტობს და ცდილობს, სიმულიანტობის ხარჯზე დააღწიოს თავი საპატიმროს. ეს არის აპრიორი გამორიცხული. ვერავითარი თვითდაზიანება ან მსგავსი ვერ გახდება მისი ვერც გათავისუფლების, ვერც სხვა ქვეყანაში გადაყვანის და ვერც შინაპატიმრობის საფუძველი. ასე რომ არ იყოს, ყველა პატიმარი ამას გააკეთებდა, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

„არავითარი ოფიციალური დიაგნოზი და დასკვნა არ არსებობს. ვიზუალური დათვალიერებით რომ რაღაც დასკვნები გამოდის, ამას სერიოზული აღქმა ვერ ექნება ჩვენი მხრიდან. რაც შეეხება ანორექსიას, ეს არ არის ფიზიოლოგიური პრობლემა, ესაა ფსიქიკის თემა. ზოგადად, სააკაშვილს რომ ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, ეს დიდი ხანია ვიცით, თუმცა ამ ფსიქიკური პრობლემებით იგივე ადამიანები ორჯერ ირჩევდნენ მას პრეზიდენტად. იგივე ადამიანები, რომლებიც ამ ფსიქიკური პრობლემებით ირჩევდნენ სააკაშვილს პრეზიდენტად, დღეს ფსიქიკური პრობლემების გამო ითხოვენ მის გათავისუფლებას. ფსიქიკის პრობლემები ჩვენ ვიცოდით დიდი ხანია. ეს კაცი ამ ფსიქიკური პრობლემებით იყო პრეზიდენტი დიდი ხანი და დღეს არის პატიმარი და ბუნებრივია, პატიმრად დარჩება. თუ გართულდება ეს ფსიქიკური პრობლემები, შეიძლება მისი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანა გახდეს საჭირო, მაგრამ აქამდე ამ ფსიქიკური პრობლემებით ის პრეზიდენტობასაც ახერხებდა და, მგონი, პატიმრობასაც მოახერხებს“, - აცხადებს კობახიძე.

ამირან გურიელიძე

# სპორტის სასახლის საძირკველში დუღაბი ჩაასხეს

მე-6 გვერდიდან

სპორტის ახალი სასახლე თითქმის 430 კვადრატულ მეტრზე იქნება გაშლილი. ერთსართულიან შენობაში საჭიდაო, ფრენბურთის, კალათბურთის დარბაზები, საშხაპეები, სხვა სათავსოები განთავსდება.

მშენებარე და «აჭარის პროექტების მართვის» კომპანიების წარმომადგენლებმა, ხულოს მუნიციპალიტეტის, ღორჯომის ადმინისტრაციული წარმომადგენლობის ხელმძღვანელობამ შენობის საძირკვლის გაჭრა და პირველი დუღაბის ჩასხმა საზეიმოდ აღნიშნეს. რამდენიმე მნიშვნელოვანი მშენებლობის ორგანიზატორმა გოჩა ირემაძემ ერთხელ წამოწყებულ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და საძირკველში ჩასხმულ დუღაბს ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი და ქართული ლარის ლითონის მონეტები ჩააყოლა.

- შპს «ნაომარი» რამდენიმე კვირის წინ დავაფუძნეთ, - გვითხრა მისმა დირექტორმა სულხან ბერიძემ, - ეს პირველი ობიექტია, რომელსაც ვაშენებთ. გვსურს სამშენებლო ბატალიებში ფირმის ჩართვა წარმატებული იყოს. იმედია, ასეც იქნება.

საძირკველში დუღაბის ჩაყრის პროცედურა დამთავრდა თუ არა, მექანიზატორები, მშენებლობაზე დასაქმებული ადგილობრივები მიწის მოჭრის სამუშაოებს შეუდგნენ.

- ამ პროექტის ღირებულება ჯამში 850 ათას ლარზე მეტია. მშენებლობა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით, შემოდგომაზე უნდა დასრულდეს. აჭარის მთიანეთში ანალოგიური სპორტული ნაგებობა არცერთ სოფელში არაა. ეს ღორჯომელებისთვის უდიდესი საჩუქარია. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ის მიღწევები, რაც აქაურ სპორტსმენებს აქვთ. თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ობიექტი მეტ მსურველს მოიზიდავს და მიღწევებიც სათანადო იქნება, - გვითხრა ბაქარ ჩიტაიამ.

კომენტარი ხულოს მუნიციპალიტეტის მერ ვახტანგ ბერიძეს ვთხოვეთ:

- ხულოს მუნიციპალიტეტისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ღორჯომის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტის სასახლის მშენებლობა აქაური ახალგაზრდების ადგილზე დამაგრების, სპორტულ ასპარეზობებში აქტიურად ჩართვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების წინაპირობა იქნება, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ.

# როცა თავბრუხვევა გვაწუხებს

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ბევრს ვსაუბრობთ მაღალ არტერიულ წნევებზე და მისგან გამოწვეულ პრობლემებზე, მაგრამ არანაკლებ ყურადსაღებია ჰიპოტენზია - დაბალი არტერიული წნევა. ამ დროს გული, თავის ტვინი და სხვა ორგანოები იმაზე ნაკლებ სისხლს იღებს, ვიდრე გამართული მუშაობისთვის სჭირდება. ამჯერად ვისაუბროთ მის ერთ-ერთ ტიპზე - ორთოსტატიკურ ჰიპოტენზიაზე, როცა მჯდომარე ან მწოლიარე ადამიანის წამოდგომისას არტერიული წნევა ერთბაშად ეცემა. მას პოზიციურსაც უწოდებენ.

მჯდომარე ან მწოლიარე ადამიანის წამოდგომისას სისხლი მიზიდულობის ძალის გავლენით ქვედა კიდურებსა და მუცლის ღრუში გროვდება და გულს აკლდება. ამის გამო გულსა და კისრის არტერიებთნ მდებარე ბაროორეცეპტორები გრძნობენ სისხლის წნევის დაქვეითებას და სიგნალს აწვდიან თავის ტვინში არსებულ ცენტრებს, რომლებიც გულს აცნობენ, რომ სწრაფი მუშაობა და მეტი სისხლის გადატუმბვაა საჭირო სისხლის წნევის სტაბილიზაციისთვის, ამასთან, ვიწროვდება პერიფერიული სისხლძარღვებიც.

ამ კომპენსატორული მექანიზმის მოშლა მრავალ ფაქტორს შეუძლია: გაუწყლოება, ბრადიკარდია, გულის სარქვლოვანი დაავადებები, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის უკმარისობა... ორთოსტატიკური ჰიპოტენზია შესაძლოა გამოვლინდეს ენდოკრინული პრობლემების დროსაც - ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა, ჰიპოგლიკემია, დიაბეტი... ასევე, მისი დარღვევის მიზეზი შესაძლოა იყოს პარკინსონის დაავადება, მრავლობითი სისტემური ატროფია, ვეგეტატიური უკმარისობა, ამილოიდოზი და სხვა.

ორთოსტატიკური ჰიპოტენზიის სიმპტომები ერთბაშად ვლინდება სხეულის პოზიციის უეცარი ცვლილების დროს, ზოგჯერ უკავშირდება საკვების მიღებას, ფიზიკურ დატვირთვას, ხანგრძლივ დგომას. დამახასიათებელია საერთო სისუსტე, თავბრუხვევა, მხედველობის დაბინდვა, გონების დაკარგვაც კი.

მწვავე ორთოსტატიკური ჰიპოტენზიის მიზეზია დეჰიდრატაცია, ხანგრძლივი წოლა...

რისკფაქტორებია ასაკი (65 წელს გადაცილებულებში უფრო ხშირია), ზოგიერთი მედიკამენტი (შარდმდენები, ალფა და ბეტა ბლოკერები, კალციუმის არხის ანტაგონისტები, აგფ-ინჰიბიტორები, ნიტრატები, ანტიდეპრესანტები, პარკინსონის დაავადების სამკურნალო, კუნთების მომადუნებელი პრეპარატები), სიცხე (ოფლიანობა და გაუწყლოვნება), ხანგრძლივი წოლა, ორსულობა, ალკოჰოლის მიღება.

ქრონიკული ორთოსტატიკური ჰიპოტენზია ვნებს ცხოვრების ხარისხს. თავის ტვინისკენ მიმავალი სისხლის ნაკადის შემცირება ინსულტის რისკფაქტორია. გულის არაბუნებრივი დატვირთვის გამო გულის არითმია და მისი უკმარისობაც კია მოსალოდნელი.

დიაგნოსტიკა ძირითადად ანამნეზს ეყრდნობა, თუმცა აუცილებელია წნევის დაცემის მიზეზის დადგენა და შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა. ორთოსტატიკური ჰიპოტენზიის დიაგნოზს სვამენ, თუ 2-5 წუთის განმავლობაში ფეხზე დგომის შემდეგ ადამიანს უდასტურდება სისტოლური წნევის 20 მმ-ით დაქვეითება (მინიმუმ) და დიასტოლურის - 10 მმ-ით.

ავადმყოფს უტარდება: ლაბორატორიული გამოკვლევები - სისხლის საერთო ანალიზი, გლუკოზის განსაზღვრა სისხლში (ჰიპოგლიკემიისა და ანემიის გამოსავლენად); ეკგ- ფასდება გულის რითმი, გულის კუნთის მუშაობა, ზოგჯერ ჰოლტერის მონიტორითაც მოწმდება გულის მუშაობა; ექოკარდიოგრამა - გულის სტრუქტურული პათოლოგიების გამოსავლენად; სტრესტესტი - ტრედმილზე სიარულის დროს აკვირდებიან პაციენტის გულის მუშაობას, სუნთქვას, არტერიულ წნევას... ორთოსტატიკური სინჯი - ფასდება სხეულის რეაქცია პოზიციის ცვლილებაზე; ვალსლავას მანევრი - პაციენტი ღრმად ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს რამდენიმეჯერ, მოწმდება ავტონომიური ნერვული სისტემის მუშაობა.

მკურნალობის მიზანია სიმპტომების შემსუბუქება და ნორმალური არტერიული წნევის აღდგენა. როდესაც დაბალი არტერიული წნევა მედიკამენტებითაა გამოწვეული, საჭიროა ოპტიმალური დოზის შერჩევა. მნიშვნელოვანია ცხოვრების წესიც: საკმაო რაოდენობის წყლის მიღება, ალკოჰოლის მინიმუმამდე შემცირება, გადახურებისთვის თავის არიდება, ნელა ადგომა. თუ ჰიპოტენზია ჭამის შემდეგ იჩენს თავს, საჭიროა მცირე ულუფებით კვება. კომპრესული წინდების საშუალებით შესაძლებელია ხელი შევუშალოთ ქვედა კიდურებში სისხლის დაგროვებას.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 4/05/22, 20 ³⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „მესმის ცაბაძე, ლალიძე, შავერზაშვილი, მაგრამ გრეკოვი რომელ ენას იცავდი?“

***საქართველოს ფარგლებს გარეთ მილიონობით ქართველი ცხოვრობს. მათ შორისაა ბათუმელი მუსიკოსი ავთანდილ გრეკოვი, რომელიც ახლახან ბათუმში იმყოფებოდა. ამერიკაში, ქალაქ ბალტიმორში შვილებთან - დავითთან და ნინოსთან ერთად ცხოვრობს. მალე მათთან მეუღლეც გაემგზავრება. ღიმილითა და იუმორით მოგვიყვა არაერთი სახალისო ისტორია, რომლებიც ბათუმში მის საქმიანობას უკავშირდება***

მამა - ლოტბარი გრიგოლ გრეკოვი აჭარაში ცნობილი პიროვნება გახლდათ. მისი თაობის ადამიანებს ძალიან კარგად ახსოვთ ეს სპეტაკი, თბილი, უბოროტო ადამიანი, ყველას წარმატებით რომ ხარობდა, ასეთივე იყო დედა - გოგუცა მამალაძე. მამა ქალებშიც პოპულარული იყო, მაგრამ დედა ამას არასოდეს აქცევდა ყურადღებას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ბათუმში ძალიან კარგი ვოკალურ-ინსტრუმენტული ჯგუფი შეიქმნა - „ადილა“. ანსამბლში შედიოდნენ ნოდარ ვარშანიძე, ალექსანდრე ხომერიკი, გურამ გოგუა, ავთანდილ გრეკოვი, ალექსანდრე ოჩიგავა (პიანისტი), ენვერ სიხარულიძე (დასარტყამი ინსტრუმენტები), თემურ დოლიძე. „ადილაში“ ხუთი წელი დაჰყო. პოპულარულიც გახდა. გადაჭედილ დარბაზებში გამოდიოდნენ, კონკურსშიც „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ გაიმარჯვეს. შემდეგ ალეკო ხომერიკი „ივერიაში“ გადაიყვანეს, მისი შემცვლელი კი ვერ იპოვეს. მერე სხვებიც წავიდნენ და ანსამბლიც დაიშალა, თუმცა ძალიან კარგი სახელი დატოვა.

ავთო გრეკოვი პროფესიონალი მუსიკოსია. დაამთავრა ბათუმის მუსიკალური სასწავლებელი, მერე - სახელმწიფო კონსერვატორია. უკრავდა არაერთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე - ფორტეპიანოზე, ვიოლონჩელოზე, კონტრაბასზე, გიტარაზე... კონსერვატორიაში საორკესტრო (კონტრაბასის) განყოფილებაზე სწავლობდა. ეს წარმოსადეგი ბიჭი ძალიან მალე პოპულარული გახდა იმითაც, რომ მეგობრობდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებთან, გუნდს კი მაშინ „ოქროს ხანა“ ჰქონდა. მატჩებზე ბილეთების შოვნა ადვილი არ იყო. ავთო მეგობარი ფეხბურთელების დახმარებით ყოველთვის ახერხებდა ამას. არაჩვეულებრივი კურსელები ჰყავდა - ცაბაძე, თაქთაქიშვილი, ლაღიძე - უდიდესი კომპოზიტორების შვილები. ამაყობს იმითაც, რომ გენიოს მუსიკოსებთან მოუწია ურთიერთობა.

1978 წელს, მეორე კურსზე იყო, როცა აუდიტორიაში თანაკურსელმა ამბავი მოიტანა, ახალგაზრდობა დედაენის აქციაზეა შეკრებილიო. ავთო გრეკოვმაც გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ კარი ჩაკეტილი დახვდა. გასასვლელთან კომკავშირისა და პარტორგანიზაციის მდივნები ისხდენ. მათ უთხრა, რომ ბუფეტში მიდიოდა, გარეთ გასასვლელი კარი იქაც ჩაკეტილი იყო. მებუფეტემ თხოვნის შემდეგ გაუღო. ასე წავიდა აქციაზე. დილით კონსერვატორიაში პარტორგანიზაციის მდივანი და, მასთან ერთად, კომკავშირის კომიტეტის მდივანი პაატა ბურჭულაძე დახვდნენ და უთხრეს, რომ რექტორატში იბარებდნენ. იქ მთელი ელიტა - ბიძინა კვერნაძე, გოგი ცაბაძე, სულხან ცინცაძე დახვდნენ, მათი შვილებიც. სულხან ცინცაძე ეკითხება, სად იყავიო. ბატონი ავთო უხსნის, რომ დედაენის დასაცავად წავიდა... და უცებ სულხან ცინცაძე ეუბნება: მესმის - ლაღიძე, ცაბაძე, შავერზაშვილი, მაგრამ გრეკოვი რომელ დედაენას იცავდიო? ყველას გაეცინა და... ყველა გაუშვეს. მეორეკურსელმა თბილისის ოპერის თეატრში დაიწყო მუშაობა - ორკესტრში უკრავდა, მთავარი დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი იყო, რომელიც შემდეგ ჯანსუღ კახიძემ შეცვალა. ამბობს, რომ დიდი მუსიკოსი არ იყო, მაგრამ ჯანოს უყვარდა და ყველგან თან დაჰყავდა.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ბათუმში დაბრუნდა. მოეწყო სიმფონიურ ორკესტრში, რომელსაც ტარიელ დუგლაძე დირიჟორობდა. ერთ წლის შემდეგ, 1983 წელს, სიმფონიური ორკესტრის დირექტორად დანიშნეს.

1988 წელს ალექსანდრე ახვლედიანი ქალაქკომის მდივნად დაინიშნა, საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად კი თენგიზ ხახვა. მათთან მეგობრობდა რევაზ ჩელებაძე, რომელიც ბათუმის „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარე იყო. „ჩელემ“ დაიჩემა, ავთო გრეკოვი სტადიონის დირექტორად უნდა დანიშნოთო. დაიბარეს მთავრობაში, ახვლედიანს არ უნდოდა სიმფონიური ორკესტრიდან მისი გაშვება, კარგ ღონისძიებებს ატარებსო, მაგრამ უცებ თენგიზ ხახვამ გადაწყვიტა: იქაც იყოს და აქაცო... ასეც მოიქცნენ. უშუქობის წლებია, ჩაბნელებულია ქალაქი, სახლთან ვიღაც ხმამაღლა მღერის - „გრეკოვი“... ალეკო ხომერიკის ხმა იცნო, დაბლა ჩავიდა და ალეკოსთან ერთად გიზო ჟორდანია დახვდა. ეუბნებიან, ასლან აბაშიძესთან წაგვყევი, ოპერის თეატრი უნდა გავხსნათო. ღამის 2 საათზე მივიდნენ ასლანთან... სულ მალე იგი ბათუმის ოპერის თეატრის განმკარგულებელ-დირექტორად დაინიშნა.

ავთო გრეკოვი ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მგალობელიც იყო, მუსიკალურ სასწავლებელში კონტრაბასის კლასს ხელმძღვანელობდა, პედაგოგობდა, ერთდროულად სიმფონიური ორკესტრის დირექტორიც იყო და ორკესტრის მუსიკოსიც - კონტრაბასზე უკრავდა, იყო ასევე ბათუმის სტადიონის დირექტორი, ბათუმის ოპერის თეატრის განმკარგულებელ-დირექტორი და... ყველაფერს ასწრებდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მერაბ ჟორდანია რომ აირჩიეს, რომელსაც თბილისში სტუდენტობის დროს დაუახლოვდა, მან მასთან გადასვლა შესთავაზა. ვაუიც იქ სწავლობდა... ბათუმიდან წავიდა. ამას ღალატად აფასებს, მანამდე ჯერ დავით ყიფიანის შვილთან დაიწყო მუშაობა, ორი წლის შემდეგ მერაბ ჟორდანიას მოადგილედ დაინიშნა. ამას გულწრფელად განიცდიდა, რადგან იცოდა, თუ ფეხბურთში ცუდად წავიდოდა საქმე, ვიღაც იტყოდა: ფედერაციაში მუსიკოსები მუშაობენ და რა შედეგს უნდა მივაღწიოთო. თბილისში 2004 წლამდე დარჩა, შემდეგ შვილი გაუშვა ამერიკაში სწავლის გასაგრძელებლად. ამ პერიოდში რეგიონალური ფეხბურთის უფროსი იყო, ხათუნა ჩილაძე კი უეფას საქმეს კურირებდა. მან დარეკა საელჩოში და უთხრა, რომ მათ თანამშრომელს შვილთან ერთად უნდოდა ამერიკაში წასვლა. ჩაურტყეს ვიზა და... ასე გაემგზავრა ამერიკაში. ბალტიმორში დაფუძნდნენ, შეიძინეს სახლი, რომლის თანხას დღესაც იხდიან. აქვთ საკუთარი ბიზნესი.

არაერთი სახალისო ისტორია მოგვიყვა, რომლებსაც აქვე გთავაზობთ:

მერაბ ჟორდანია რომ კენჭს იყრიდა, მისი შტაბის უფროსი იყო. მამათში, შევარდნაძის სახლშიც მივიდნენ. მის ტახტზე რომ წამოწვა, ეს ამბავი თავად მოუყვა შევარდნაძეს. ნოე ჟორდანიას სახლშიც ცხოვრობდა რამდენიმე დღე სხვებთან ერთად;

„აიდას“ დასადგმელად ემზადებიან ბათუმის ოპერის თეატრში. დამდგმელი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძეა, მთავარი მხატვარი - მამია მალაზონია. თათბირია, 3 საათზე კი ფეხბურთი - ბათუმის „დინამო“ სამტრედიას ხვდება. ადგა და გამოაცხადა, რომ სტადიონზე მიდის და ყველას მატჩზე ელოდება. მამია მალაზონიამ არ იცოდა, ის სტადიონის დირექტორიც თუ იყო და გაკვირვებულს უთქვამს: ერთ კვირაში პრემიერაა და რა დროს სტადიონიაო. ალეკო ხომერიკს ჩამოუთვლია ყველა მისი საქმიანობა. გიგა ლორთქიფანიძე კი ეუბნება, ბარემ ფოსტა-ტელეგრაფიც „აგეღო“ და მთელი ქალაქი შენი იქნებოდაო;

შევარდნაძე სტუმრობს აჭარას მეუღლესთან ერთად, მათ ასლან აბაშიძე ქალბატონ მაგულისთან ერთად მასპინძლობს. მეორე მოქმედების დაწყების წინ, შესვენებაზე, ყველა მეორე სართულზე შეიკრიბა. ბატონმა ედუარდმა იკითხა, ესაა, მამათში რომ წამოგორდა ჩემს ტახტზეო? შემდეგ მოაყოლა სიმფონიური ორკესტრის გურიაში, მამათში გასტროლზე. მანაც უამბო, როგორ აღმოჩნდა მის სახლში, გლეხებს ჰკითხა, სად ცხოვრობს ბატონი ედუარდიო და... აგერ - ასფალტი რომ მთავრდება, იქო, - უპასუხეს, მარა ახლა შინ არაა, მოსკოვშიაო. ბევრი იცინეს;

მისთვის დასამახსოვრებელი იყო ბათუმთან დაძმობილებული ქალაქ სტავროპოლიდან გუბერნატორის ჩამოსვლა კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის წარმომადგენლებთან ერთად. მისცეს განრიგი, რომელ ობიექტზე უნდა წაეყვანა სტუმრები. აღმოჩნდა, რომ ხუთიდან ოთხი ის დაწესებულებაა, სადაც დირექტორია: დილით ტაძარი, მერე სიმფონიური ორკესტრი, სტადიონი, ლანჩი, ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საღამოს - ოპერა. დილით, ტაძარში რომ მივიდნენ, ერთ-ერთმა სტუმარმა დაინახა, ყველასთან ერთად როგორ გალობდა ქერათმიანი და ცისფერთვალება ახალგაზრდა (გარეგნობის გამო, ყველას ამახსოვრდებოდა). ტაძრიდან სიმფონიურ ორკესტრში გაიქცა სტუმრების შესახვედრად, გაცნეს, როგორც დირექტორი, აქედან სტადიონზე მივიდნენ და ისიც იქ დახვდა, გუბერნატორს მეუღლე ახლავს და ეჭვის თვალით კი შეათვალიერა, მაგრამ არაფერი უთქვამს. სადილის შემდეგ ნახევარსაათიანი კონცერტი უნდა გაემართათ მათთვის, თეატრში სტუმრებს ალეკო ხომერიკი და ავთო გრეკოვი დახვდნენ როგორც ოპერის თეატრის ხელმძღვანელები. სტავროპოლელებმა დაინახეს, რომ ჩვენი ავთო ორკესტრის „ორმოში“ ზის და უკრავს, სტუმარმა ქალბატონმა თითით მიანიშნა ავთოზე და მეუღლეს რაღაც წასჩურჩულა. დამთავრდა კონცერტი, „ინტურისტებში“ ბანკეტია, თემურ დოლიძის ანსამბლი „ბათუმი“ მღერის, ავთომ სპეციალურად დაიგვიანა, რომ უფრო შესამჩნევი გამხდარიყო. გუბერნატორი ეკითხება: ღრმად პატივცემულო ამხანაგო, მომეცით უფლება, რაღაც დავაზუსტო. დილით ტაძარში თქვენ იყავით? კიო, - პასუხობს. სიმფონიური ორკესტრს თქვენ დირექტორობთ? ამაზეც დაეთანხმა, ოპერის თეატრის ხელმძღვანელი ხართ და ორკესტრში ვიოლონჩელოზეც თქვენ უკრავდითო? ყველაფერზე ეთანხმება. მიტრიალდა გუბერნატორი და თავისი დელეგაციის წევრებს ეუბნება: მოაწერეთ ხელი კონტრაქტზე ამ ადამიანთან და დავამთავროთ ჩვენი ვიზიტიო;

ანტალიის ფესტივალზე მიემგზავრება ოპერის თეატრი 500 კაცის შემადგენლობით (სხვათა შორის, მაშინ პირველი ადგილი აიღეს). როგორც დირექტორი, დაიბარეს მინისტრთა საბჭოში და ეკითხებიან, როგორ უნდა მოაბათ თავი ამდენი ხალხის გადაყვანასო? ავთოს გიზოსთვის უთქვამს, პირველ ავტობუსში კოკა იგნატოვს ჩავსვამ, მესამეში - თემურ პეშკოვს, მეხუთეში - გრეკოვი იქნებაო და როგორ ფიქრობთ, სამი რუსი ვერ გადაგვიყვანსო?

კიდევ არაერთი ამბავი მოიგონა ბატონმა ავთომ გულიანად, სითბოთი. ჯანის სიმრთელეს და დღეგრძელობას ვუსურვებთ ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრება სიკეთით ცხოვრობს.



# დიდი წარმატება და შეხვედრა პრიზიორ მოჭადრაკეებთან

***გუშინ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში იმ მოჭადრაკეებს შეხვდნენ, რომლებმაც ახლახან საბერძნეთის კუნძულ როდოსზე, საჭადრაკო ფესტივალის ეგიდით გამართულ 7-დან 17 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე საუკეთესოდ იასპარეზეს და შესაბამისი შედეგიც მიიღეს***

მოჭადრაკეებთან - მარიამ ცეცხლაძესთან და კესარია მგელაძესთან ერთად შეხვედრაზე იმყოფებოდნენ მსოფლიო ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი აკაკი იაშვილი და აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი სალომე მელია, მასპინძლებიდან - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლაშა ჩავლეშვილი, მოადგილე მინდია ქათამაძე.

როგორც აკაკი იაშვილმა აღნიშნა, ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გუნდური მესამე ადგილი დაიკავა. მასში საქართველოდან 11 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის აჭარიდან - ორი და ორივემ საპრიზო ადგილი დაიკავა, მარიამმა - მეორე, ხოლო კესარიამ - მესამე. ეს ძალიან დიდი წამატებაა. აღნიშნული მოჭადრაკეები რეგულარულად აღწევენ წარმატებებს როგორც საქართველოს, ისე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე.

- სამინისტროში კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა. ამ გოგონებმა გვასახელეს, მოიპოვეს საპრიზო ადგილები. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი საჭადრაკო სკოლა ნამდვილად გამორჩეულია თავისი შედეგებით, წარმატებებით და ვიმედოვნებთ, ეს კიდევ უფრო გაიზრდება, როგორც რაოდენობრივად, ისე მედლების სინჯის მიხედვით. სამინისტროსთვის, სხვადასხვა ფედერაციასთან ერთად, ყოველთვის პრიორიტეტული იყო ჭადრაკის მიმართულება თავისი შედეგებიდან გამომდინარე და, ბუნებრივია, ჩვენი მხარდაჭერა კიდევ უფრო გაიზრდება. იცით, რომ წელს ბათუმი მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს კადეტებს შორის, რის სამზადისიც უკვე მიმდინარეობს - საორგანიზაციო საკითხები დღესაც გავიარეთ და ვფიქრობთ, ამ ღონისძიების ორგანიზებასაც სექტემბერში სათანადო დონეზე შევძლებთ, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

- მინდა, მათ მივულოცო ეს წარმატება და ვუსურვო, რომ კიდევ უფრო გაზარდონ რეიტინგი, გაამრავლონ თავიანთი მიღწევები. წელს მნიშვნელოვანი ტურნირები ელით - არა მხოლოდ სასკოლო, არამედ ინდივიდუალური ჩემპიონატები, რომლებიც ჩატარდება რუმინეთში, თურქეთში და ერთიც ჩვენთან - ბათუმში. აღსანიშნავია, რომ წელს ბათუმში 15-დან 28 სექტემბრამდე კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება, რომელშიც, სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებს 70 ქვეყნის წარმომადგენელი. ეს იქნება პირველი გრანდიოზული ტურნირი პანდემიის შემდეგ. ვფიქრობთ, ამ ტურნირს ღირსეულად ვუმასპინძლებთ. რა თქმა უნდა, მასში ბათუმელი მოჭადრაკეებიც მიიღებენ მონაწილეობას და მათგან დიდ წარმატებებს ველით, - აღნიშნა ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა აკაკი იაშვილმა.

- ძალიან კარგად ორგანიზებული ტურნირი იყო და მიხარია, რომ ჩემთვის წარმატებული აღმოჩნდა. დიდი გამოცდილებაც მივიღე, რაც მომავალში დამეხმარება და უფრო კარგ შედეგს დავდებ. განსაკუთრებით საამაყოა ჩვენთვის, რომ 13 წლამდე გოგონათა შორის სამივე საპრიზო ადგილი საქართველოს მოჭადრაკეებმა დავისაკუთრეთ და კვარცხლბეკზე ჩვენი სახელმწიფოს სამი დროშა ერთდროულად აფრიალდა, - თქვა მარიამ ცეცხლაძემ.

- ბევრი ძლიერი მოჭადრაკე მონაწილეობდა და არ მეგონა, თუ სამეულში მოვხვდებოდი, ბოლოს მესამეზე რომ აღმოვჩნდი, ძალიან გამიხარდა. ახლა ვემზადები საქართველოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც თბილისი 26 მაისს უმასპინძლებს და მინდა, ევროპის ჩემპიონატის საგზური მოვიპოვო, მსოფლიო ჩემპიონატს ბათუმი უმასპინძლებს და მისთვისაც სათანადოდ მოვემზადო, - გვითხრა კესარია მგელაძემ.

**გვერდი მოამზადა**
**მანანა ძიძიშვილმა**